140
1963

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პიონერი

2 თებერვალი 1963



# სამშობლოს
## სადღეგრძელო

მიწავ, ხვავდაუტეველო,
ცავ და მზევ, სათაყვანებო,
მთებო, სერებო, ტყე-ველო,
თავთავდაყრილო ყანებო,

არ გაქლდეს ვაზის ამკვრელი,
ხალხი ძლიერის მკლავითა,
ღუღუნ-ღუღუნა აკვნები
გემრავლოს ქვიშასავითა!

გული სულ გქონდეს მთებური,
უტეხი, ხალისიანი,
კენჭიც, რიყეზე გდებული,
ფეთქდეს სიცოცხლის სიამით!

დიდი ბელტები ჩახნული
გეყაროს ოქროს ზოდებად,
ვერ აუვიდეს ზაფხული
ყანების გამოროდებას!

დღევანდელი დღე გაქეზებს
ცისკრის ელვარე სხივითა,
თეთრი ჰალარაც სახეზე
გეფინოს ფაფარივითა!

ხარობდე, დაფოფინებდე
მუდამ სიკეთის მსურველი.
უკვდავების წყალს ინებებ?
აჰა, მოგართვით სურებით!

მიწავ, ხვავდაუტეველო,
სატურფალ-სათაყვანებო,
მთებო, სერებო, ტყე-ველო,
თავთავდაყრილო ყანებო,

ცავ, ანთებულო სიწმინდით,
ჩაქარვებულო ვენახო —
ხვალ უფრო ამიბიბინდით,
ხვალ უფრო ლაღნი მენახოთ!

პ. ღოხნაძე

ნახ. თენგიზ ხამხოწაძისა

140
1963



საქართველოს
ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ს სახელობის
ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამოცემის
[redacted]
წელი

XXXVII

9071

რედაქტორი რევაზ მარგიანი
სარედაქციო კოლეგია:
რ. ელანიძე, რ. ინანიშვილი, ჯ. კვარაცხელია,
მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი,
გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.), რ. ჭარქია,
ე. ყიფიანი, ა. შენგელია, რ. ცუცქირიძე.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

გვ.

ა. დოხნაძე—სიმღერა საქართველოზე (ლექსი) გარეკანის . . 2
ტ. კვანჭილაშვილი —შვილობილი (ნამდვილი ამბავი) 2
ა. აბულაშვილი—მშვიდობის არმია (ლექსი) . . . 8
გ. ბახტაძე—სამი ციმპელის თავგადასავალი (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . . . . . 8
ს. შამფრიანი—უკვე ვხედავ (ლექსი) . . . . . . 10
გ. ჭიჭინაძე—გამოიხედეს ტყემლებმა (ლექსი) . . 10
ბ. პოლევოი—მათე კუზმინის უკანასკნელი დღე (მოთხრობა. თარგმნა ბ. ვაშაძემ) . . . . 11
მ. კვარაცხელია—ჯეჯილი (წერილი) . . . . . 15
ვაჟა-ფშაველა—გველი (მოთხრობა) . . . . . . . 16
შიო მღვიმელი—ჯეჯილი (ლექსი) . . . . . . . 16
ხალხური ლექსები, ენის გასატეხი, ანდაზები . . 17
გ. გოლეთიანი—ჰაერის „ბალიში“ (წერილი) . . 17
ა. შიშმანაშვილი – ავტობუსთან (მოთხრობა) . . 18
რ ა ტ ო მ ვ ა მ ბ ო ბ თ ა ს ე? . . . . . . . . . 19
ნ. ფაილოძე—გორმაღალას ძირას (ნარკვევი) . . 20
ს. იორამაშვილი – ორი ძმა (ზღაპარი) . . . . . . 21
ა. ნემსაძე – მურყანი (წერილი) . . . . . . . . 25
ნ ა ი რ ფ ე რ ყ ე ლ ს ა ხ ვ ე ვ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ შ ი . . 26
ზ. ლეშკაშელი—მწიგნობარი (წერილი) . . . . 26
ტ ე ქ ნ ი კ ი ს ს ი ა ხ ლ ე ნ ი . . . . . . . . . 28
ვ. პენკოვი—ტყის მუსიკოსი . . . . . . . . . 29
ს ა ხ ა ლ ი ს ო . . . . . . . . . . . . . . . 30
მ ო კ ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე . . . . . . . . . 32
გ ა ს ა რ თ ო ბ ი. . . . . . . . . . გარეკანის . . 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის რევაზ ცუცქირიძეს, გარეკანის მეოთხე გვერდზე— ი უ მ ო რ ი.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, ჯ. ლოლუას, ე. ამბოკაძის, დ. ხახუტაშვილის, თ. სამსონაძის და გ. ფოცხიშვილის მიერ.

პიონერი
2 თებერვალი 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შვილობილი

## ნამდვილი ამბავი

ნახ. კ. მახარაძისა.

გაბრიელ ქვანჭილაშვილი

მეოთხე ქვემეხთან გუშაგი იდგა. ზამთრის თბილი ქუდი ყურებზე ჩამოეწია, თოვლში ფეხებს აბაკუნებდა. ძალიან ციოდა და თოვლს ხრაშუნი გაჰქონდა.

ბატარეისკენ მიმავალ გზაზე ბავშვი გამოჩნდა. გუშაგმა ჯერ ყურადღება არ მიაქცია, ეგებ გვერდზე ჩაიაროს და წავიდესო, მაგრამ რაკი ის საცეცხლე პოზიციას მოადგა, შეეხმიანა. მოსული ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი აღმოჩნდა. თოვლში ნახევრად ფეხშიშველი მოაბიჯებდა, შარვალი ჩამოხეოდა, დაბამბული საცმელი მაზუთსა და ჭუჭყში ამოგანგლოდა, გათოშილიყო, თავზე ქუდის ნაცვლად რაღაც ჰქონდა შემოხვეული. გუშაგი თანაგრძნობით დააცქერდა მავთულის ღობეზე მომდგარს. ბიჭმა გალურჯებული ფეხები ერთმანეთს გაუხახუნა და იკითხა:

— შეიძლება თქვენთან?

— რაო, — ჰკითხა გუშაგმა, — ვის ეძებ?

— მეთაურის ნახვა მინდა, — მიუგო ბიჭმა.

გუშაგმა მორიგე იხმო და მოახსენა. მორიგემ გათოშილი ბავშვი რომ დაინახა, აღარ დაუყოვნებია. „სასტუმრო მიწურში" გაიქცა. ბატარეას ჰქონდა ასეთი მიწური, ახლადმოსულებისათვის იყო განკუთვნილი, სანამ შევსებას ათეულებში გაანაწილებდნენ.

მიწურში მებრძოლებს რუსული ღუმელი გაემართათ. ფიჩვის შეშას ტკაცუნი გაუდიოდა. ბიჭს თვალი ცეცხლისაკენ გაექცა და თვითონაც მისკენ გაემართა, მაგრამ მორიგემ შეაჩერა: ჯერ მოშორებით დაჯექი, თანდათან შეეგუე სითბოს, თორემ გაწყენსო.

როცა ბიჭი მოთბა, მორიგე გამოელაპარაკა: —

— რა გქვია? — ჰკითხა მან, — სადაური ხარ და აქ როგორ მოხვედი?

ბიჭმა თავი აიღო, მორიგეს შეხედა და ყოყმანით წარმოთქვა:

—თქვენ ხართ მეთაური?.. არა?! ჰოდა, მეთაურს ვეტყვი ყველაფერს.

მორიგემ გაიღიმა, თავი გააქნია და მიწურიდან გავიდა მეთაურის მოსაძებნად.

ბატარეის მეთაურმა ყურადღებით მოუსმინა მორიგეს. მოხსენება რომ დასრულდა, შეშფოთება დაეტყო: სასწრაფოდ იკითხა, ხომ მოუარეთ ბავშვსო. როცა ყველაფერი რიგზე მიიჩნია, მორიგეს უთხრა, მე თვითონ მოვალ „სასტუმრო მიწურშიო", და გაუშვა.

* * *

საცეცხლე პოზიციაზე ბატარეის მეთაური გამოვიდა, საგუშაგოებს გადახედა და საჰაერო მზვერავისაკენ გაემართა. მან, წესისამებრ, მდგომარეობა მოახსენა:

—ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ჰაერში სიმშვიდეა. არც მტრის, არც ჩვენი თვითმფრინავი არ შეინიშნება!— მეთაურმა იკითხა, სათვალთვალო პუნქტებიდან რას იტყობინებიანო, და, როცა პასუხი მიიღო, მზვერავს გაეცალა.

მეზენიტეებს მშვენიერი საცეცხლე პოზიცია შეერჩიათ. მარჯვენა მხრიდან, სამასიოდე მეტრის მოშორებით დიდი ფიჭვნარი იწყებოდა. უკან რომელიღაც საბჭოთა მეურნეობის ბაღი იყო, მარცხნივ — ქალაქის გარეუბანი, წინ კი მოჩანდა რკინიგზის სადგური, საიდანაც მატარებლები მიემართებოდნენ ქლობინის, გომელისა და კოროსტენისაკენ. რკინიგზის ამ კვანძს სამხედრო თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, იგი ატარებდა სამხედრო ეშელონებს ბელორუსიისა და უკრაინის ფრონტებისაკენ. ამიტომ მის საჰაერო დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა. გერმანელებმა იცოდნენ ეს და „იუნკერსებსა" და „ჰაინკელებს" ხშირად აგზავნიდნენ.



ეს ქალაქი ორი კვირის წინ გაათავისუფლეს. მერე ჩვენი ჯარების შეტევა დროებით შენელდა, ამიტომ ფრონტის წინა ხაზი სულ ახლოს გადიოდა. საჭირო იყო საბრძოლო მზადყოფნა არა მარტო ყოველ წუთს, არამედ ყოველ წამს. ამას მკაცრად მოითხოვდა გარემოებაც და მეთაურიც.

როცა მეთაური „სასტუმრო მიწურში" შევიდა, მორიგე წამოდგა და ბავშვმაც მას მიჰბაძა. ბიჭი გამთბარიყო, ლოყები წამოსწითლებოდა და თვალებიც სასიამოვნოდ უელავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





— დაჯექი! — თქვა მეთაურმა და თვითონაც ტახტზე ჩამოჯდა. — მე ვარ მეთაური, მიამბე რაც გინდა, — და თვალებით მიეფერა.

ბიჭმა თავი ასწია, თითქოს რაღაც მტკიცედ გადაწყვიტაო, მაგრამ თვალები ისევ მორცხვად დაუშვა და ხმა არ ამოუღია. მეთაურმა გამამხნევებლად გაუღიმა.

ბიჭმა თვალები მეთაურს მიაპყრო და ყოყმანის შემდეგ დაიწყო:

— მე იური ვარ, ისაკოვი, ვორონეჟიდან. ჩვენი სახლი ბრძოლებში დაინგრა, მშობლები შიგ მოყვნენ და დაიხოცნენ. დავრჩი უსახლკაროდ და უდედმამოდ. ბავშვთა სახლიდან გამოვიქეცი და ფრონტზე გამოვიპარე. ვეძებ ჩემს ძმას ტიხონს, ის მეზენიტეა. მეც დავდივარ ყველა ფრონტისპირა ქალაქში და მას ვკითხულობ, რადგან ვიცი, ასეთ ობიექტებს იცავს. თქვენთანაც ამ მიზნით მოვედი. ეგებ ტიხონი თქვენთან მსახურობს? მინდა მასთან ერთად ვიომო ფაშისტების წინააღმდეგ და ჩვენი ოჯახის შური ვიძიო!

ბოლო სიტყვები ბიჭმა რიხით თქვა და მეთაურს თვალებში შეხედა — აბა, რას მეტყვისო.

მეთაურმა გულკეთილად გაუღიმა ბავშვს და მორიგეს დაავალა — ზემდეგს დამიძახეო. ზემდეგი მოვიდა და მეთაურმა დაავალა, გამოეძებნა მცირე ზომის ფარაჯა, შარვალი, ხალათი, ჩექმები და საცვლები, დაებანა ბავშვი, ჩაეცვა სუფთად და გამოეწყო. წასვლის წინ მეთაურმა ბიჭს მამის სახელი ჰკითხა და, როცა პასუხი მიიღო, თავისთვის ჩაილაპარაკა — „იური ვასილის ძე ისაკოვი“ — და მიწურიდან გავიდა.

საზენიტო არტილერიაში ქალებიც მსახურობდნენ და მათი სარგო ტანსაცმელი შედარებით პატარა ზომისა იყო. ეს გარემოება იურის გამოადგა და ზემდეგმა ბიჭი კოხტად გამოაწყო. როცა ნაბანი და სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ბიჭი ზემდეგმა მეთაურს წარუდგინა, მან ძლივსღა იცნო. მოეფერა, ნამცხვრით გაუმასპინძლდა. ის იყო ზემდეგისათვის უნდა დაევალებინა, იური შენთან აცხოვრეო, რომ განგაშის ხმა გაისმა.

ბატარეის მეთაური მიწურიდან გავარდა და რამდენიმე ნახტომით საკომანდო პუნქტზე გაჩნდა. მზვერავმა საჰაერო მდგომარეობა მოახსენა: — განგაში! ჩრდილოეთიდან ერთი „ჰაინკელ-III, სიმაღლე-70, მოდის ობიექტზე!“

ბატარეის პირადი შემადგენლობიდან წამში ყველა თავის ადგილზე გაჩნდა. ქალიშვილები ცეცხლსამართ ხელსაწყოს უსხდნენ, სიმაღლისმზომები — სიმაღლისმზომს, მექვემეხენი — ქვემეხებს, ტელეფონისტები და რადისტები — თავიანთ აპარატებს. სიჩუმე კი ისეთი იყო, თითქოს პოზიციაზე არავინ ყოფილიყოს. იური მეთაურთან ატუზულიყო და გაოცებული აცეცებდა თვალებს: წეღან გუშაგების მეტი აქ არავინ ჩანდა და ახლა ამდენი ხალხი საიდან გაჩნდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთაურმა სწრაფად მიიღო მდგომარეობის შესაფერი გადაწყვეტილება. და კომანდებიც სჭექა: „თვითმფრინა-ვისკენ! პირველზე, გრანატით, სიმაღლე 70-00!“

იცოდნენ, ვის რა ბრძანება შეეხებოდა და ყველა თავის საქმეს ასრულებდა. რამდენიმე წამში ხელსაწყომ მზადყოფნა მოახსენა და საცეცხლე ოცეულის მეთაურმაც ნიშანი მისცა... ქვემეხებმა ერთხმად იქუხეს და იურიმ ყურებში ხელები იტაცა. პირველ ზალპს მეორე მოჰყვა და, როცა თვითმფრინავის ახლოს გამსკდარი ჭურვების კვამლის ფთილები გამოჩნდა, მეთაურმა კორექტურა შეიტანა: „მარცხნივ 20!“ ხელსაწყოდან მკაფიოდ უპასუხეს: „არის მარცხნივ 20!“

მესამე ზალპზე თვითმფრინავმა პირი იბრუნა, მარჯვნივ გაუხვია, გამოაჩინა ვეება ლიპი და უკან გაბრუნდა. მეთაური თვალს არ აშორებდა, რათა ახალი მანევრისთვის მზად ყოფილიყო. რა დარწმუნდნენ, რომ მტერი გაექცათ, კუდში ერთი-ორი ზალპი კიდევ მიაყოლეს და მეთაურის ბრძანებაც გაისმა: „შესდექ!“ ყველაფერი გაჩერდა და მოულოდნელად სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა ხანში კვლავ გაისმა ბრძანება: „გამორთეთ დენი!“ და განგაშის დამთავრების ნიშანიც მისცეს.

— ხომ არ შეგეშინდა, იური? — ჰკითხა მეთაურმა თვალებგაფართოებულ, გაოცებულ ბავშვს.

— არ შემშინებია, მაგრამ ყურები კი მეტკინა. რამხელა ხმა აქვს თქვენს ქვემეხებს!

— რატომ თავშესაფარში არ ჩახტი?

— იქ რა მინდოდა... — თავი ჩაღუნა ბიჭმა.

იქვე რამდენიმე ქალიშვილი იდგა. ისინი განგაშის დროს საკომანდო პუნქტთან მოირბენდნენ ხოლმე საჰაერო დაზვერვის გასაძლიერებლად, რათა ბრძოლაში გართულებს ცის არცერთი კუნჭული არ გამორჩენოდათ დაუზვერავი. ბავშვი რომ დაინახეს, ქალები გარს შემოეხვივნენ. ზოგი რას ეკითხებოდა და ზოგი რას. იურიც პასუხობდა, მეთაურმა ქალების გულთბილობა რომ იხილა, უთხრა: აქ რაღას უდგახართ. თქვენს მიწურში წაიყვანეთ იური და იქ ისაუბრეთ. მერე მორიგე მზვერავს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— ვინ შენიშნა თვითმფრინავი?

— პირველმა სათვალთვალო პუნქტმა!

— ვინ იყო მორიგე მზვერავად?

— წითელარმიელი ისაკოვი!

ეს რომ გაიგონა, სატელეფონო მიწურში ჩავიდა და წითელარმიელი ისაკოვი ტელეფონთან იხმო.

— „ვოლგა, ვოლგა!“ ვინაა ტელეფონთან? ისაკოვი? გამარჯობათ! თქვენ, მგონი ვორონეჟიდან ხართ, არა? სახლში ვინ გყავთ? რა ჰქვია იმ თქვენს უმცროს ძმას? ხოო... მილაკი გადაეცით პუნქტის უფროსს! ვინაა ტელეფონთან? შანდრგაილო? გამარჯობათ! სერჟანტო, წითელარმიელი ისაკოვი ბატარეაზე გამოგზავნეთ!“

სატელეფონოდან რომ გამოდიოდა, ტელეფონისტმა მეთაურის სახეზე კეთილი ღიმილი შენიშნა.

როცა ცეცხლი შეწყვიტეს და ყველა თავთავისი იარაღის წმენდას შეუდგა, მეთაურმა მორიგეს უთხრა: დაბინდებამდე, ალბათ, აღარ გვესტუმრებიან და შეგიძლიათ გაერთოთო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბატარეის შუა მიწურში, რომელიც კლუბის დანიშნულებას ასრულებდა, წითელარმიელი გავრუშა გარმონს მოიტანდა გასწევდა თავის „ოქროს მთებს“ და ქალ-ვაჟნი საცეკვაოდ გამოვიდოდნენ. მეგარმონე ხან „ვალსს“ დააწუწუნებდა, ხან „კრაკოვიაკს“ ხან „რუსულს“ — რაც კი შეეძლო.

ხალხმა „კლუბისკენ“ იწყო დენა. ქალიშვილები კისკისით მიდიოდნენ. მათ ბიჭები მისდევდნენ და თან ათვალიერებდნენ — დღეს რომელს ვეცეკვოო. პოზიციაზე გუშაგები გამოცვალა, მზვერავთა რიცხვი გაზარდა და, როცა ყველაფერი რიგზე მიიჩნია, მეთაურიც იურისთან ერთად „კლუბში“ შევიდა. იქ უკვე გახურებული ცეკვა იყო. მოსულებიც ჩაებნენ მათ ფერხულში და საერთო მხიარულება მიწურს ხალისით ავსებდა...

ცეკვა რომ დამთავრდა, მეთაურის წინ წითელარმიელი გამოიჭიმა:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, თქვენი ბრძანებისამებრ, წითელარმიელი ისაკოვი გამოცხადდა! — მოახსენა მან.

— თქვენი ძმა რომ გაჩვენოთ, რას იზამთ? — ღიმილით მიმართა მეთაურმა.

— იმას აქ რა მოიყვანს? — გაუბედავად უპასუხა მოსულმა. „დილასაც ტელეფონით მეკითხებოდა, რამე ხომ არ იცის?“ — გაუელვა მას.

მეთაურმა იური მოიკითხა. თავის მიწურში წაეყვანა სერჟანტ სერიკოვას, რომელიც ომამდე პედაგოგი იყო. იურის მისვლამდე მებრძოლებმა ჩურჩული გააბეს: „მართლა ტიხონს ჰგავს“, „რატომ დილასვე ვერ მოვიფიქრეთ“, — ამბობდნენ ისინი. ამასობაში სერიკოვამ იური მოიყვანა.

—იუროჩკა! აქ როგორ გაჩნდი?! — შეჰყვირა წითელარმიელმა ისაკოვმა, და ძმები ერთმანეთს გადაეხვიენ. დამსწრენი ალტაცებულნი უყურებდნენ ამ სცენას, ზოგი ცრემლებსაც იწმენდდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ცეკვა დასრულდა. მეთაურმა ტიხონს მიმართა:

— თქვენ სათვალთვალო პუნქტზე აღარ წახვალთ, იქ თქვენი მაგიერი გავგზავნე. აქ დარჩებით, მზვერავთა ათეულში. ძმა თქვენთან იყოლიეთ და ერთად ვიზრუნოთ მასზე!

მერე სხვებს მიუბრუნდა და ხმამაღლა თქვა: — ხომ კარგი შვილობილი გვყავს, ჰა?!

დრო გადიოდა. იური ყველას შეეჩვია. მებრძოლები და მეთაურები ალერსითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ ბავშვს. ქალებმა ფორმა გადაუკეთეს, ტანზე კოხტად მოარგეს. იურიმ სამხრეების ტარების უფლება ითხოვა და, ნებართვა რომ მიიღო, სიხარულით ცას ეწია. ბიჭმა ყველაფრისადმი ინტერესი გამოიჩინა: მეძვემეხეებს ქვემეხის მოწყობილობას ეკითხებოდა და ხარბად სწავლობდა, ტყვიამფრქვევს უკვირდებოდა, არც ხელსაწყოების მიმართ დარჩა გულგრილი. განსაკუთრებით შეუყვარდა ტელეფონი და რაცია. მიუჯდებოდა ტელეფონისტებსა და რადისტებს და საშველს არ აძლევდა შეკითხვებით. ისინიც ხალისით ასწავლიდნენ ამ საქმეს. იური მოსაზრებული და ალღოიანი გამოდგა, ორიოდე თვეში ბევრი რამ შეისწავლა.

როცა ტიხონი მორიგე მზვერავად იდგა, იური არ სცილდებოდა ძმას და ეუბნებოდა: „შენ ძირითად სექტორში იცქირე, მე კი დამატებითი სექტორი მომანდეო“, და ცას თვალს არ აშორებდა. ხშირად ხდებოდა, რომ იური ძმაზე ადრე შენიშნავდა თვითმფრინავს და ტიხონს ეუბნებოდა: „დააკვირდი, იქ რაღაც ჩანს“. ტიხონი დურბინდში გახედავდა, მტრის თვითმფრინავს შეიცნობდა, განგაშს ატეხდა. მეთაური ბავშვით ამაყობდა, და მებრძოლების თანდასწრებით ხშირად აქებდა კიდეც. იური ცას სწვდებოდა ამის გამო.

როცა გამოზაფხულდა, „კლუბიდან“ გართობა ღია ცის ქვეშ გადაიტანეს. განსაკუთრებით მოსწონდათ „მესამე ზედმეტის“ თამაში, რომელიც სიხარულსა და საერთო სიცილს იწვევდა. ორ-ორი მებრძოლი ერთმანეთს ზურგში ამოუდგებოდა, ასეთი წყვილები ფართო წრეს შეკრავდნენ და იდგნენ. ერთ მებრძოლს ხელში ქამარი ეჭირა, მეორე კი უნდა გაქცეულიყო და წრის გარშემო ერბინა. ქამრიანი მისდევდა და ქამრის შემორტყმას ლამობდა. თუ გაქცეული რომელიმე წყვილის წინ ჩადგებოდა, იქ წყვილის ნაცვლად სამი აღმოჩნდებოდა, უკანა მესამე „ზედმეტი“ ხდებოდა და ქამარი მას უნდა მოხვედროდა. თუ ესეც გაქცევას მოასწრებდა, ქამრიანი კვლავ გამოუდგებოდა. ხდებოდა ისე, რომ „ზედმეტი“ სწრაფად ვერ უსხლტებოდა და ქამარი ხვდებოდა. ეს იწვევდა საერთო სიცილს. ახლა ამას უნდა აეღო გადაგდებული ქამარი და დამკვრელს გამოჰკიდებოდა. ასე მეორდებოდა განუწყვეტლივ. წყვილები დაძაბული იდგნენ, ყველას წინ შეიძლებოდა ჩამდგარიყო გაქცეული და უკანა „ზედმეტი“ აღმოჩენილიყო. ეს მუდმივ მზადყოფნას მოითხოვდა. თამაში ცოცხალი და საინტერესო იყო.

განსაკუთრებულ სიცილს იწვევდა ბატარეის მეთაურისა და იურის მონაწილეობა ამ თამაშში. მეთაური გარბოდა, იური მას მისდევდა, ზოგჯერ ეწეოდა კიდეც. მაგრამ ქამრის დარტყმას არ აკადრებდა. მეთაური ეძახდა: დამარტყიო, იური კი ეხვეწებოდა გაიქეცით, ან ვინმეს წინ ჩადექით, ვერ შემოგარტყამთო. იყო სიცილი და საერთო მხიარულება... გარეშე კაცი იფიქრებდა: ფრონტზე, საომრად კი არ მოსულა ეს ხალხი, არამედ გართობისთვისო. მაგრამ მებრძოლები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ და ბრძოლისაგან თავისუფალ დროს ყველაფერი ადამიანური მათთვის საჭირო იყო. პირიქით, მეთაური ასეთ გართობებს ხელს უწყობდა და აქეზებდა, რადგან ხალხს ოჯახზე დარდი ავიწყდებოდა, ფრონტული ცხოვრება იოლი და ასატანი ხდებოდა.

1944 წლის მაისი იყო. ჩვენი ჯარები ქლობინთან, მოგილიოვთან, ვიტებსკთან იდგნენ და იერიშისთვის ემზადებოდნენ. რკინიგზები განუწყვეტლივ გადატვირთული იყო სამხედრო ეშელონებით. მიდიოდნენ ჯარები, ეზიდებოდნენ იარაღს, სურსათს — ყველაფერს, რაც კი ომისათვის საჭიროა.

მტერს დაყნოსილი ჰქონდა ჩვენი მზადება და ყოველ ღონეს ხმარობდა ხელი შეეშალა: ეშელონებს თავს ესხმოდა, ხიდებსა და რკინიგზის სადგურებს ბომბავდა.

ჩვენებიც გულხელდაკრეფილი არ ისხდნენ.

მზე ჩასვლას აპირებდა. ბატარეის პოზიციის ირგვლივ ჭვავის ნათესი ბიბინებდა. ქვემეხები ჭვავში არც კი ჩანდნენ. მზე ჩავიდა. სიომ და სიგრილემ იმატა. სინათლემ კრთომა იწყო, სიბნელემ იძალა.

— განგაში! ჩრდილო აღმოსავლეთიდან მტრის მოტორთა ხმა! — გაისმა უცბათ მზვერავის ძახილი და ყველამ თავისი ადგილი დაიკავა.

გუგუნი ახლოვდებოდა. გამოცდილი ყური ცნობდა, რომ ახლოვდებოდა „იუნკერს-88“-ის ჯგუფი.



სიბნელეში მხოლოდ გადამღობი ცეცხლი გამოდგებო-
და. მეთაურის ბრძანებაც გაისმა და ბატარეამ მტერს
ცეცხლის ფარდა შეაგება.
სხვა ბეტარეებიც „ალაპარაკდნენ". სათვალთვალო პუ-
ნქტებიდან ტელეფონები რეკდნენ. მტრის თვითმფრინავ-
თა ახალი ჯგუფების მოახლოებას იტყობინებოდნენ.
ეტყობოდა, მტერს გადაეწყვიტა ობიექტის მთლია-
ნად მოსპობა. მალე ცაში მანათობელი ყუმბარები დაეკი-
და. მათი რიცხვი თანდათან მატულობდა, მთელი ქალაქი
და სადგური ისე განათდა, როგორც სალუტის დროს
იცის ხოლმე. ეს გარემოება საშიშროებას ზრდიდა —
სადგურში ჩვენი ეშელონები იდგა.
სადგურის მახლობლად ბენზინის ცისტერნებიც აფეთ-
ქდა. ყუმბარები ბატარეის ახლოსაც ეცემოდა. მტრის
თვითმფრინავთა ერთი ჯგუფი გომელის რკინიგზის გასწ-
ვრივ მოფრინავდა, ბატარეასთან ახლოს პიკირებას იწ-
ყებდა და სადგურს აქედან უშენდა.

ზარბაზნების ცეცხლი მოპიკირეებზე იქნა გადატანი-
ლი, რადგან ყველაზე მეტი ზიანის მიტანა ამჯერად მათ
შეეძლოთ. ქვემეხები ავტომატებივით მუშაობდნენ. კო-
მანდების ხმა და ზალპების ბათქი ისმოდა მხოლოდ. ფეხ-
ქვეშ მიწა ზანზარებდა, თავზე ცა ინგრეოდა, ყველაფერი
იწვოდა და ფეთქდებოდა.

უცებ ერთ მტაცებელს სინათლე შეეპარა, მერე ალმა
იმატა და „იუნკერსი" ცეცხლში გაეხვია. გვერდზე გა-
დაიხარა და ვარდნა იწყო. მებრძოლებს გული მოეცათ.
უფრო გაафთრებით განაგრძეს ბრძოლა. შორს გაისმა
აფეთქებისა და გრგვინვის ხმა. მტაცებელი მიწას დაეწყ-
და და თავისსავე ტვირთზე აფეთქდა. „ეგეც შენ!" —
ალტაცებით ტაში შემოჰკრა იურიმ.

მტრის მფრინავებმა თავისი ამხანაგის ბედი რომ დაი-
ნახეს, ამ მხრიდან თავდასხმა შეწყვიტეს და ობიექტს
გასცილდნენ. მაგრამ მათი ვერაგული განზრახვა მალე
აშკარა გახდა: შორს მოტორები გამოერთოთ და პლანი-
რებით წამოსულიყვნენ ობიექტზე. ეს ძალზე საშიშია,
ისინი შეუმჩნეველნი ხდებიან, რადგან მოტორთა ხმა
აღარ ისმის.

ბატარეის თავზე შემზარავი შხუილი მოისმა. რაღაც
დიდი სიმძიმისა, სწრაფად აპობდა ჰაერს და ბატარეას
უახლოვდებოდა. ხმამ საკომანდო პუნქტს თავზე გადაუ-
არა და მესამე ქვემეხთან გაადინა ზლართანი. მიწა შეინ-
ძრა. ქალები წაწვნენ. მეთაური მიხვდა, რომ ბატარეა
ნიშანში იყო ამოღებული... წამიერმა შიშის ყინულმა
გალხობა იწყო. მოლოდინი... გაკვირვება: ყუმბარა არ
გასკდა... მესამე ქვემეხის გუნდის მეთაურს სერიკოვამ
გასძახა:

— პრიშვინ, ცოცხლები ხართ?

— ცოცხლები ვართ!

ტელეფონისტმა ბატარეის მეთაურს მოახსენა, რომ
№1 სათვალთვალო პუნქტი აღარ პასუხობდა. ეს იმას
ნიშნავდა, რომ ყუმბარებმა ხაზი დააზიანა და კავშირი
გაწყდა. ორი ტელეფონისტი ხაზის აღსადგენად მყისვე
გაგზავნა მეთაურმა.

იური მეთაურის გვერდით იდგა, წამითაც არ შორდე-
ბოდა — არ ვიცი, იმიტომ, რომ ეგონა ამ უშიშარი ადა-
მიანის გვერდით სიკვდილი ვერას დამაკლებსო, თუ ფიქ-
რობდა — ჩემი აქ ყოფნით მეთაურს ვიხსნიო. რამდენი
არ უთხრეს, თავშესაფარში შედიო, ფეხი არ მოიცვალა.

მეზობელი ბატარეის ცეცხლმა ერთ „იუნკერსს" გაჰკ-
რა და ვეება ალმა და კვამლმა შეავსო ისედაც აალებუ-
ლი ცა. „იუნკერსს", ალბათ, მხედველობა დაჰკარგოდა,
რადგან თავის მიერ დაკიდებულ მანათობელ მაშხალთა
შუქში მოხვედრილიყო. ცეცხლი დაუშინეს. ერთი ზალ-
პი, მეორე... თვითმფრინავს ალი გაუჩნდა და განზე გა-
დაიხარა, კვლავ ზალპი, და თვითმფრინავი ქვასავით და-
ეშვა ტყისკენ. მალე აფეთქების დიდმა ხმამ იქაურობა
გააყრუა.

— ეგეც მეორე! — გაისმა იურის ხმა.

ხაზზე წასული ტელეფონისტები ჯერ არ დაბრუნებუ-
ლიყვნენ, რომ მეთაურს კვლავ მოახსენეს: მეორე სათ-
ვალთვალო პუნქტთანაც შეწყდაო კავშირი. სამმართვე-
ლოს ოცეულის მეთაურმა ბატარეის მეთაურს აუწყა: ერ-
თი ტელეფონისტიღა დამრჩა თავისუფალი, რომლის გაგ-
ზავნაც შემიძლიაო. ერთის გაგზავნა კი არ შეიძლებოდა.
იური ამ საუბარს ისმენდა, მიხვდა, რომ ოცმეთაურს მე-
ტის გამოძებნა არ შეეძლო, მეთაურთან მიიჭრა და შეს-
ძახა:

— მე გავყვები დამხმარედ!

ბატარეის მეთაურმა უარის ნიშნად თავი გააქნია. ოც-
მეთაურიც უარზე იყო. ბოლოს მან თვითონ გადაწყვიტა
მებრძოლთან ერთად წასვლა. მეორე ტელეფონისტი
კი წასასვლელად უკვე მზად იყო, ამბობდა — გამყოლი
არ მჭირდება, მარტო წავალო. მან ნაბიჯიც კი გადადგა
წასასვლელად, რომ ბატარეის მახლობლად სამი ყუმბა-
რის გრგვინვა გაისმა. სანამ გამოერკვეოდნენ, ტელეფო-
ნისტი და იური იქ აღარ იყვნენ...

ჩრდილოეთიდან მტრის თვითმფრინავთა ახალი ჯგუფი
გამოჩნდა. მათ კურსი პირდაპირ სადგურისაკენ აიღეს.
ბატარეამ ცეცხლი კვლავ სადგურის თავზე გადაიტანა,
იქ „ცეცხლის ქუდი" შექმნა, რის გამო ფაშისტებმა ვე-
ღარ გაბედეს და თავიანთ ტვირთს სადგურიდან მოშო-
რებით ყრიდნენ. ეს კი სწორედ ის ადგილი იყო, საითაც
მეორე სათვალთვალო პუნქტის ტელეფონის ხაზი მიდი-
ოდა და საითაც იური და ტელეფონისტი წავიდნენ.

მეზობელმა ბატარეებმაც ჩამოაგდეს მტრის თვითმფ-
რინავები. ამით ესენიც გახალისდნენ და ერთი „იუნკერ-
სი" კვლავ მიწას დაასკდა.

— ეგეც სამი! — წამოიძახა სერიკოვამ.

ნელ-ნელა თვითმფრინავებმა გაცლა იწყეს, თითქოს
შეაშინათო ბოლოს ჩამოგდებულის ბედმა. მალე მტერი
იმ მანძილზე გასცილდა ობიექტს, რომ ზარბაზნები ვე-
ღარ მიუწევდნენ. ბრძოლის გაგრძელება უაზრო იყო და
ბატარეამ ცეცხლი შეწყვიტა.

ამ სიჩუმეში გაისმა ტელეფონის წკრიალი... ტელე-
ფონისტმა სიხარულით წამოიძახა:: „№ 2 სათვალთვალო
პუნქტი პასუხობს!" მეთაურმა სიხარულით ჩასძახა:

— ვინ პასუხობს?

— პასუხობს პუნქტის მორიგე მზვერავი კომენსკი!

— ჰკითხეთ, რატომ არ პასუხობდნენ?

— ხაზი იყო გაწყვეტილიო.

— მერე, ვინ აღადგინა?

— კომენსკი ამბობს: ჩვენებიც გავიდნენ ხაზზე, მაგ-
რამ ისინი ჯერ მისულები არ იქნებიან ყუმბარების ჩა-
მოყრის ადგილამდეო...

ამის თქმა ძლივს დაამთავრა, რომ უცებ წამოიძახა:

— ხაზო, ხაზო! ვინ არის ტელეფონთან? იური? ჩვენ
კარგად გვესმის, პუნქტიც პასუხობს, ხომ?"

იურის გაგონებაზე ყველამ შვებით ამოისუნთქა, განსა-
კუთრებით კი სამმა ადამიანმა: ტიხონმა, ბატარეის მე-
თაურმა და სერიკოვამ.

— ახლავე უკან დაბრუნდნენ! — ბრძანა მეთაურმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტორთა ხმა სულ უფრო სუსტდებოდა. აქა-იქ ბოლავდა ჩამოყრილ თვითმფრინავთა ნარჩენები...

— იკადრეს გაქცევა?! — წარმოთქვა მეთაურმა.

— დღეს ზედმეტად მოიწადინეს. — შეეპასუხა სერიკოვა.

საათს დახედეს. ღამის პირველი საათი გამხდარიყო. მალე პირველ სათვალთვალო პუნქტზეც აღდგა სატელეფონო კავშირი. ყველა პუნქტიდან გადმოცემული ცნობები რომ შეაჯამეს, აღმოჩნდა, რომ ამ ღამის თავდასხმაში მტრის ასამდე თვითმფრინავს მიეღო მონაწილეობა.

ეს დიდი ბრძოლა იყო.

მოტორთა გუგუნი მთლად მიწყდა. ქვემეხთა გახურებულმა ლულებმაც გაგრილება იწყეს. მეზარბაზნეებმა მათი წმენდა დაიწყეს. ყველაფერი მალე მოთავდა. ბატარეა დასასვენებლად ემზადებოდა. მებრძოლები იქვე მიწვნენ და თავი ჭურვების ცარიელ მასრებზე მიდეს. ის იყო ბატარეის მეთაური თვითონაც იქვე აპირებდა წამოწოლას, — ტელეფონისტი და იურაც დაბრუნდნენ.



ტელეფონისტმა ბრძანების შესრულება მოახსენა მეთაურს, იური კი მის უკან იმალებოდა. მეთაურმა შუბლშეკვრით ჰკითხა:

— შენ სადღა იყავი?

— მეც იქ გახლდით!

— ვისი ნებართვით?

არაფერს პასუხობდა, თავი ჩაეღუნა, თითებს იფშვნეტდა.

— ეს აღარ განმეორდეს, იური!

იურიმ თავი კიდევ უფრო ჩაღუნა.

მეთაურმა ისინიც დასასვენებლად გაუშვა, თვითონ კი გაიფიქრა: „ასეთი ბავშვი გაზარდოს ყველა დედამ! ბიჭი კი არა, ნამდვილი გმირია!“ მიწვა და თვალები მაშინვე დახუჭა.

ღამემ მშვიდად ჩაიარა. მთელ საცეცხლე პოზიციაზე ისმოდა დაღლილ მებრძოლთა ფშვინვა. ამ სიწყნარეს დროდადრო არღვევდა ტელეფონის წკრიალი და მორიგე ტელეფონისტის პასუხი. ხანაც გუშაგები გადაულაპარაკებდნენ ერთმანეთს. სადღაც შორიდან კი ფრონტის სუნთქვა მოისმოდა. იგი ხან მილეული და ხანაც მკაფიო იყო.

არტილერისტებმა მზის ამოსვლას დაასწრეს. იარაღის წმენდისა და წესრიგში მოყვანის საქმეს საცეცხლე ოცეულის მეთაური ხელმძღვანელობდა. ბატარეის მეთაური კი საკომანდო პუნქტზე იდგა და ზოგჯერ განკარგულებას იძლეოდა.

ბატარეას „ვილისი“ მოადგა. იგი მავთულის ღობესთან შეჩერდა. მანქანიდან კორპუსის მეთაური, გენერალი გერასიმოვი გადმოვიდა, თან ახლდა დივიზიონის მეთაური. ბატარეის მეთაურმა ისინი შენიშნა, მიეგება და მოახსენა წესისამებრ. გენერალმა მას ხელი ჩამოართვა და წუხანდელი წარმატება მიულოცა.

— ყოჩაღ, ქართველო, წუხელ ძალიან იმარჯვეთ!

მოსულებმა მებრძოლებს ჩამოუარეს, გამოელაპარაკნენ. გენერალმა ბრძანა, ბატარეა დაეწყოთ წყობილებაში. ბრძანება წამსვე შესრულდა.

გერასიმოვმა ბატარეას გამარჯვება მიულოცა . ადიუტანტმა ორდენები და მედლები მიაწოდა. გენერალმა თავისი ხელით დაუმშვენა მკერდი ბატარეის მეთაურს, სერიკოვას, რამდენიმე სერჟანტს, მებრძოლს, ტელეფონისტებს. ბატარეამ შეწყობილად და მჭექარედ შესძახა მადლობის სიტყვები: „ვემსახურებით საბჭოთა კავშირს!“

გენერალი უკვე წასვლას აპირებდა როცა ბატარეის მეთაურმა იურის შესახებ უამბო: ორჯერ ყველაზე ადრე შენიშნა მტრის თვითმფრინავი და, გარდა ამისა, წუხელ გმირობა გამოიჩინა — ყუმბარების ცეცხლქვეშ სატელეფონო ხაზის აღდგენაში უშიშრად მიიღო მონაწილეობაო. გენერალს ელიმებოდა. ბრძანა მაჩვენეთო. იური იქ არ ჩანდა. მოძებნეს, მიწურში აღმოჩნდა: გენერლისა მორიდებოდა და იქ მიმალულიყო.

დარცხვენილი იური გენერალს მიჰგვარეს. გენერალმა ბიჭი გადაკოცნა, გმირობა მიულოცა და მკერდზე საკუთარი ხელით დაამნია მედალი „მამაცობისათვის“.

წყობილება დაიშალა. მებრძოლები თავთავიანთი ადგილებისაკენ გარბოდნენ. ისმოდა სიხარულის შეძახილები.

ბატარეის მეთაურს კი გენერალი ეუბნებოდა: უფროსო ლეიტენანტო, ყოჩაღი შვილობილი გყოლიათ!



## მშვიდობის არმია

ერთ დღეს „ავრორას“ ქუხილმა
ზნელეთი შეაზანზარა...
და მე თიბერვლის თოვაში
ჩავიცვი მხედრის მაზარა.

მტერი მომიხტა ყოველმხრივ —
დაუნდობელი, შავბნელი,
მაგრამ მე ათას გრიგალში
და მეხტეხაში გავძელი.

მე მახსოვს შავი იენისი
და შემოვარდნა ქარიშხლის;
ოცი წლის წინათ ვოლგასთან
წამოვიმართე სხვა რისხვით

და გადავთელე ის, ვინაც
ჩემი გათელვა ისურვა...
მე სხვასთან მხოლოდ მეგობრის
გახსნილი გულით მივსულვარ.

თებერვლის ქარში, თოვაში
ჩავიცვი მხედრის ფარაჯა
და მე ლენინის ბრძანებით
ვდგავარ მშვიდობის დარაჯად.

ანზორ აბულაშვილი



# სამი ვიმპ

ვიმპელები სხვადასხვა ფერისანი არიან — მწვანე, ლურჯი და ფოლადისფერი. სამივე ერთმა რაზმმა დაიმსახურა და ეს წინ გადადგმული ნაბიჯია პიონერთა რაზმების საკავშირო შეჯიბრებაში გასამარჯვებლად. ყოველი ვიმპელის მოპოვებას ხომ თავისი ისტორია აქვს. მათ მიღმა ბავშვების სახალისო საქმიანობა და ახალი წამოწყებებია.

### 1. პიონერული ჰექტარები

სკოლაში ამბავი მოიტანეს: კოლმეურნეებს ჩაის პლანტაციაში სასუქი შეაქვთ, ჩქარობენ, გაავდრებამდე უნდა მოასწრონონ. ამიტომ იყო, რომ ყველანი მოუსვენრად შეჰყურებდნენ ცას. მთებისკენ უკვე ჩამუქებულიყო ტატნობი.

— გაავდრდება! — მოკლედ თქვა ჯემალ მებუკემ, მაგრამ ეს ერთი სიტყვაც



გასაგები იყო ამხანაგებისთვის. გაკვეთილების შემდეგ მთელი რაზმი პლანტაციისაკენ გაეშურა. მარდად სცლიდნენ ბუჩქების ძირში სასუქიან ყუთებს და მიწას უფხვიერებდნენ. მწკრივი მწკრივს მიჰყვებოდა, რიგი — რიგს და ასე შეივსო სასუქით მთელი ჰექტარი.

ჰექტარი პატარა როდია! ვინ დათვლის, რამდენი ათეული ათასი ქორფა ფოთოლი გადაიშლება ხოლმე ბუჩქებზე... ბევრი გამრჯე მარჯვენაა საჭირო მათ მოსაკრეფად. პიონერებიც მთელ ზაფხულს და შემოდგომას მოდიოდნენ აქ, სიმღერით ჩამოუვლიდნენ ბუჩქებს, კალათებში ნელ-ნელა ახვავებდნენ ჩაის ფოთოლს.

„მწვანე ოქროს“ მთა დადგეს მესამერაზმელებმა — 9 ტონა მოკრიფეს.

ქართველ მეჩაიეთა სახელოვან გამარჯვებაში პიონერების მცირე წვლილიც იყო.

ასე დაიწყო საკავშირო შეჯიბრების დღეები ქალაქ წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლაში. ხოლო, როცა მოსკოვში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი გაიმართა, მესამერაზმელებმა ახალი გაბედული თაოსნობა წამოიწყეს, კვლავ სიმღერით მოეფინენ პლანტაციებს ჩაის თესლის შესაგროვებლად.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ თესლით კოლმეურნეებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ პლანტაციებს. მალე პიონერულ ჰექტარს კიდევ რამდენიმე ჰექტარი შეემატა; უფრო უხვად წამოვა „მწვანე ოქრო“.

სწორედ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენებაში აქტიური მონაწილეობისათვის გადაეცათ „მწვანე ოქროს“ ნორჩ ოსტატებს პირველი მწვანე ვიმპელი.

### 2. პიონერული ტრაქტორი იქნება

იმ დღეს, როცა ბავშვების შეგროვილი თესლით მძლავრი ტრაქტორი ჩაის ახალი პლანტაციის მწკრივებს კვალავდა, ჯემალმა მოულოდნელად წამოიძახა:

— ბიჭებო, რა მოვიგონე!

შეგროვდნენ გოგო-ბიჭები, მოილაპარაკეს და კვირა დილით ქალაქის სხვა-

# დის თავგადასავალი



დასხვა უბნისაკენ გასწიეს ჯგუფ-ჯგუფად.

შედიოდნენ ეზოებში, ადიოდნენ სხვენზე, არ ტოვებდნენ სარდაფებსა და სამზარეულოებს. გამოჰქონდათ და ერთად აგროვებდნენ ძველ ქვაბებს, ღუმელებს, საწოლებს, — ლითონის სხვადასხვა ძველმანს.

ბიჭებმა პატარა ურიკები მოარბენინეს და ყველაფერი სკოლის ეზოში წაიღეს. დიდი ქუთათური ავტომანქანა პირთამდე გაავსო ჯართმა. ავტომანქანის მძღოლმა ღიმილით ჩამოართვა ხელი ბავშვებს და მადლობა უთხრა.

ახლაც აგროვებენ ჯართს ბავშვები. ბევრი, ძალიან ბევრი სურთ შეაგროვონ, რათა იქიდან გამომდნარი ფოლადი ერთ მძლავრ ტრაქტორს ეყოს. ოცნებობენ გოგონები და ბიჭები, 19 მაისისათვის ახალი, პრიალა პიონერული ტრაქტორის გასაღები საზეიმოდ გადასცენ კოლმეურნე მექანიზატორებს. ჯერჯერობით კი მესამერაზმელთა კუთხეში ფოლადისფერი ალამი ჰკიდია. ალამს წარწერა ამშვენებს: „ჯართის შეგროვების ერთთვიურში გამარჯვებისათვის".

კმაყოფილნი არიან მედეა ბახტაძე და ციცინო ტორაძე — დეტალი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც ნახაზზეა აღნიშნული.

ადგილობრივ რადიოგადაცემებში ნორჩი დიქტორებიც მონაწილეობენ. აი, პიონერი ნათელა რუხაძე მორიგი გადაცემისათვის ემზადება.

## 3. რუკა იზრდება

გეოგრაფიულ რუკას იშვიათად თუ შეემატება ახალი ნიშანი; ეს მაშინ ხდება, როცა ახალი ქალაქი აიგება, ან გეოგრაფიული აღმოჩენით გამდიდრდება მეცნიერება... სულ სხვანაირია ის რუკა, რომელიც ქალაქ წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში ჰკიდია. მას თითქმის ყოველკვირა ემატება სხვადასხვა ნიშნები — ეს ხომ განსაკუთრებული რუკაა — პიონერული ზონის რუკა.

აი, ერთ კუთხეში ქარხნის მილი და საამქროებია გამოსახული. მას იქვე პიო-



ბიჭებსა და გოგონებსაც უყვართ კალათბურთის თამაში.



მხიარულად ართობენ და ათამაშებენ სკოლამდელებს პიონერები, ისინი კარგი მეგობრები არიან.



ჭადრაკში მეცადინეობა დიდი ინტერესით ტარდება. ახლა ნორჩები პარტიებს არჩევენ.



მანანა ბურდული და ლია ყურაშვილი კარგი მოფარიკავეები არიან.

ნერული ნიშანი ამშვენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნორჩი ლენინელები ამ ქარხნის მუშათა კარგი მეგობრები არიან.

ერთი წელია, რაც მესამერაზმელები ეთერ შალამბერიძის კომუნისტური შრომის ბრიგადას დაუმეგობრდნენ. ახლა ხშირად ნახავთ ერთად ბრიგადის წევრებს და ბავშვებს; ისინი ერთად დადიან სალაშქროდ, სამოგზაუროდ; ანთებენ კოცონებს, კითხულობენ წიგნებს, ხანდახან კი ერთად დგანან დაზგებთან. ასეთი დღეები განსაკუთრებით სასიხარულოა ნორჩებისათვის.

მესამერაზმელების ზონაში არის კიდევ ერთი ორსართულიანი სახლი, საიდანაც მთელი დღე ჟრიამული და სიმღერა მოისმის. ეს საბავშვო ბაღია. ჯემალ მებუკე, დალი კირთაძე, ნუნუ პაპავა, ნაზი ხელაია, ნუნუ უგულავა, ნათელა რუხაძე და სხვები — საბავშვო ბაღის ხშირი სტუმრები არიან. მოვლენ, პატარებს ათამაშებენ და აცეკვებენ, უამბობენ ზღაპრებს... ერთი სიტყვით, ისინი კარგი მეგობრები არიან.

ახლახან ქალაქში კულტურის სახლის ახალი შენობა აიგო. მესამერაზმელები მისი მიდამოების გამწვანებას შეუდგნენ. ნერგებსა და ყვავილებს ქალაქის ბაღშიც რგავენ.

ხოლო ვინ მოთვლის, რამდენ კარგ, სასარგებლო საქმეს აკეთებენ მოხუცებისა და პენსიონერთა ოჯახებში თემურელები!

აი, რატომ არის, რომ პიონერულ ზონაში აქტიური საქმიანობის ლურჯი ვიმპელიც ამშვენებს მესამერაზმელთა კუთხეს.

* * *

ასეთია ამ სამი ნაირფერი ვიმპელის თავგადასავალი. ჩვენ არაფერი გვითქვამს სხვა ვიმპელებზე, რომლებიც რაზმეულის საბჭომ დააწესა კეთილსინდისიერი სწავლისათვის, ოქტომბრელებთან კარგი მუშაობისათვის, მოწინავე სპორტული კოლექტივისათვის და სხვ.

იმ რაზმს, რომელიც ამ ვიმპელთა მფლობელი გახდება, მიენიჭება საუკეთესო რაზმის სახელი. კარგი და საამაყო სახელია! ბევრს სურს მისი მოპოვება და მათ შორის მესამერაზმელებსაც.

გურამ ბახტაძე

ფოტო გ. ჯაყელისა



## უკვე ვხედავ...

**სიმონ შამფრიანი**

თუმცა მიწა ისევ თეთრად
მოჩანს ზამთრით გათანგული,
ყოველ კვირტში, უკვე ვხედავ,
როგორ ფეთქავს გაზაფხული...

ვხედავ, სადღაც ქარში, თოვლში
ვით იკერავს მარტი კაბას,
და სულ მალე ლურჯი ქოშით
შემოივლის მშობელ მთა-ბარს.

შემოივლის... მინდორ-ველად
მიმოაბნევს ფერად მძივებს,
გააცინებს ნუშს თუ ტყემალს,
მთელ ქვეყანას გააცინებს;

შემოაფრენს პირველ მერცხალს,
კლდიდან ჩანჩქერს წამოაფრენს,
გადასარკავს მაღალ ზეცას,
გაშლის ხეთა მწვანე აფრებს;

მზით ხავსებს ბაღჩა-ბაღებს,
ყველგან დაღვრის ცინცხალ ფერებს
და პატარებს, მუდამ ლაღებს,
სიხარულით აამღერებს.

და თუმც მიწა ისევ თეთრად
მოჩანს ზამთრით გათანგული,
ქვეყნის კართან, უკვე ვხედავ,
როგორ მოდგა გაზაფხული.

## გამოიხედეს ტყემლებმა

**გივი ჭიჭინაძე**

გამოიხედეს ტყემლებმა,
წყალი გაუხდათ კანში.
თებერვალს სული ელევა,
ჩიტმა გაითბო კანჭი.

წყარომ საკრავი მომართა,
გული სამღერლად ერჩის,
გზად იაც გამოგოგმანდა,
მინდვრის პაწია ელჩი.





ბორის პოლევოი

# მათე კუზმინის უკანასკნელი დღე

მოთხრობა

მათე კუზმინს სოფელში უკარება კაცს ეძახდნენ.

ცხოვრობდა მათე სოფლის ბოლოს, ტყის პირად განმარტოებულ პატარა ქოხში. იშვიათად გაერეოდა ხალხში, პირქუში იყო და სიტყვაძვირი, უყვარდა ძაღლითა და ადამისდროინდელი თოფით ტყესა და ღრეში ხეტიალი. გაზაფხულზე კი, როცა ხეებზე კვირტები დაიბერებოდა და ტყის ლილო-ჭრილოებში გალეურჯებულ ფხვიერ თოვლზე როჭოები დაიწყებდნენ კაკანს, მათე გამოიხურავდა ქოხის კარს და თავის ობოლ შვილიშვილთან, ვასიასთან ერთად გასწევდა ტყეში, შორეულ ტბაზე, და მთელი კვირაობით იკარგებოდა.

კოლმეურნეებს არ ეჯავრებოდათ მათე, მაგრამ როგორღაც ერიდებოდნენ: რა იცი, რა უტრიალებს თავში მოხუცს, რომელიც ადამიანებს უფრთხის, სდუმს და ტყე-ტყე დაეხეტება, კაცმა არ იცის სადო. ესეც არ იყოს, სოფლად ოდითვე არ სცემდნენ პატივს მონადირეულ გატაცებას. თუმცა მათე მშვენივრად ასრულებდა კოლმეურნეობაში მეველის მოვალეობას და, მართალია, ოთხმოც წელს გადაცილებული იყო, მთელ იმ კუთხეში ვერავინ გაბედავდა დღე თუ ღამე ხელეყო ქონება, რომელსაც ბაბუა მათე და მისი გაბურძგვნილი და ავი შარიკი იცავდნენ.

როცა ომის უბედურებამ ტბიან ველიკიე ლუკის მხარეს მიატანა და კოლმეურნეობა „განთიადში" გერმანელთა სამთო-მსროლელი დივიზიის მეთხილამურეთა პოლკი ჩადგა, მეთაურმა, რომელსაც ვიღაცამ პირქუშ მოხუცზე სიტყვა ჩააწვეთა, გადაწყვიტა, რომ მამასახლისად უკეთეს კაცს ვერ გამოძებნიდა.

მათე კუზმინი გამოიძახეს კომენდატურაში, რომელიც კოლმეურნეობის გამგეობის ახალ შენობაში იყო მოთავსებული, ერთი ჭიქა გერმანული არაყი მიართვეს და თანამდებობა შესთავაზეს. მოხუცმა მადლობა გადაუხადა, ავადმყოფობის მომიზეზებით მასპინძლობაზე უარი განაცხადა და მამასახლისის თანამდებობა არ მიიღო: მოხუცი ვარ, უძლური, ყურთ მაკლიაო. მათეს თავი გაანებეს და განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად თავისი ძველი თოფიც კი დაუბრუნეს, რომელიც ის იყო ჩააბარა კომენდანტის ბრძანებით.

გერმანელებს კუზმინი ადრე გაზაფხულზე გაახსენდათ, როცა ამ ტბიან მხარეში თავიანთ ძალებს შეტევისათვის თავი მოუყარეს. სამთო მსროლელთა დივიზიამ მოწინავე ხაზისაკენ გადმოინაცვლა. კოლმეურნეობა „განთიადში" დაბანაკებული ათასეული ტყეებითა და ჭაობებით უბრძოლველად უნდა შეჭრილიყო საბჭოთა არმიის განლაგებაში და ზურგიდან მიეტანა იერიში გენერალ გორბუნოვის მოწინავე საგუშაგო რაზმზე. საჭირო გახდა გამყოლი, რომელსაც კარგად ეცოდინებოდა ტყის ბილიკები. აბა, უკეთ ვინ იცოდა ის ბილიკები, თუ არა ბაბუა მათემ, რომელსაც მრავალჯერ ეთელა იგი ფეხით. ყოველი პატარა ჭაობი იცოდა მოხუცმა ამ მხარეში, ყოველი ფიჭვის ხე და ყოველი ქვა ტყეში.

მოხუცი ათასეულის მეთაურთან მიიყვანეს და ოფიცერმა წინადადება მისცა. ფარულად, ღამით, გაეყვანა ისინი საბჭოთა საცეცხლე პოზიციების ზურგში. უარზე — დახვრეტა აღუთქვეს, ხოლო დავალების შესრულებისათვის — ფული, ფქვილი, ნავთი და, რაც მთავარია, მონადირის ოცნება — „სამი რგოლი" — ცნობილი გერმანული მარკის ორლულიანი თოფი.

მათე კუზმინი მდუმარე იდგა ოფიცრის წინ და ცხვრის ტყავის დაგლეჯილ, გაბურძგვნილ ქუდს ჭმუჭნიდა. მცოდნე კაცის მზერას აპარებდა იგი თოფს, რომელიც მარგალიტის სიმქრქალით შავად ელვარებდა მზე-



ზე. ოფიცერი მოუთმენლად აკაკუნებდა მაგიდაზე თითებს. ამ კუშტ, ბუნდოვან ადამიანზე იყო დამოკიდებული მისი ბედი, ათასეულის ბედი, შესაძლოა ასე გულდასმით მომზადებული ოპერაციის მთელი შედეგიც კი. და ახლა იჭერდა რა მათეს ხარბ მზერას, რომლითაც იგი თოფს ათვალიერებდა, ოფიცერი ცდილობდა მიხვედრილიყო, რას ფიქრობდა ამ წუთში ეს პირქუში ტყის კაცი.

— კარგი თოფია — თქვა ბოლოს კუზმინმა, — ლულაზე დაკოჟრილი ხელი გადაუსვა და ცერად შეხედა ოფიცერს. — ფულსაც დამიმატებთ, თქვენო კეთილშობილებავ?

— ო-ო-ო! — სიხარულით შესძახა ოფიცერმა. — საქმიანი კაცი ჩანს! ეს კარგია. უთხარით, რომ გერმანელთა სარდლობა პატივს სცემს საქმიან ადამიანებს: უთარგმნეთ: გერმანელთა სარდლობას არ ენანება ფული ადამიანისათვის, რომელიც მას ერთგულად ემსახურება.

ოფიცერი ზეიმობდა — საიმედო გამყოლი ნაპოვნი ჰყავდა. მაგრამ ეს გარემოება როდი იყო მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. ხუთი თვის მანძილზე, რაც გერმანელმა ოფიცერმა ამ ცივ ტყეებში გაატარა, სადაც თავისი ათასეულით მზიური, თავის უბედურებაშიც კი მხიარული საფრანგეთიდან მოხვდა, მას რაღაც ინსტიქტურ შიშს გვრიდნენ ეს მისთვის გამოუცნობი საბჭოთა ადამიანები, ეს პირქუში, ცბიერი ბუნება, ეს უდაბური ტყის სივრცეები, სადაც ყოველ ბუჩქს, ყოველ ჯირკს შეეძლო მოულოდნელად გაესროლა. სადაც ღრმა ზურგშიაც კი, ფრონტიდან მოშორებით, იძულებული ხარ გაუხდელად დაწვე და ბალიშქვეშ ჩახმახზე შეყენებული რევოლვერი იგულო.

მაგრამ ფული, ფული! თურმე აქაც კი, ამ უცნაურ ფანატიკოსებთან, რომლებიც მტრის შემოტევისთანავე თვითონვე სწვავენ თავიანთ სახლებს, ფულს ძალა ჰქონია. როგორ გამომცდელად უმზერს მას ეს მოხუცი კაცი! უთუოდ ცდილობს გაიგოს, ხომ არატყუებენ, მისცემენ თუ არა ფულს!

— უთხარით, რომ მისი სამსახური გულუხვად იქნება დაჯილდოებული. შესთავაზეთ ათასი მანეთი, — აჩქარებით დაუმატა ოფიცერმა.

მოხუცმა მოისმინა თარჯმანი, დიდხანს გოროზად უმზირა ოფიცერს თავის მოყვითალო, გაბარდნილ წარბებქვემოდან და დაფიქრების შემდეგ უპასუხა:

— ცოტაა, იაფად გინდათ მიყიდოთ.

— მაშ, ათასხუთასი... კარგი, ორი ათასი!

— ნახევარი წინასწარ, თქვენო კეთილშობილებავ.

ოფიცერმა თარჯიმანთან მოითათბირა და გულდასმით გადათვალა ქაღალდის ფული. მოხუცმა თავისი დაძარღვული ხელით მოხვეტა ფული მაგიდიდან და გულგრილად ჩაიდო ქუდის სარჩულში.

— კარგი, წაგიყვანთ! ის ბილიკები ჩემს გარდა მხოლოდ მგლებმა იციან. ზუსტად მითხარით, სად უნდა გახვიდეთ.

პუნქტი დაუსახელეს, უნდოდათ რუკაზე ეჩვენებინათ.

— ისედაც ვიცი. ვყოფილვარ იქ, მელებზე მინადირნია. გათენებისას გაგიყვანთ.. ოღონდ, თოფს რომ დამპირდით, არ მომატყუოთ, თქვენო კეთილშობილებავ.

კოლმეურნეები ხედავდნენ როგორ ბრუნდებოდა იგი შინ ოფიცრის ბინიდან გამოსული. — თავისებურად უტყვი და გულჩათხრობილი. არავის ზედ არ უცქეროდა. ულვაშებში ეღიმებოდა. ლანძღვას, ჩურჩულით რომ ზურგსუკან აყრიდნენ. იგი პასუხობდა კუშტი ჩაღიმებით. ხოლო როცა ახმახი ყმაწვილი, კოლმეურნეობის ყოფილი მოანგარიშე, გერმანელებთან ძმაკაცობისათვის ცხვირპირის ჩამტვრევით დაემუქრა, მან უკანმოუხედავად ჩაიბურტყუნა,

— გასწი. დედაშენს უთხარ, ცხვირი მოგხოცოს!

კოლმეურნეები თვალყურს ადევნებდნენ კუზმინის ქოხს. დაინახეს, როგორ ჩამოირბინა კიბეები ნახევარი საათის შემდეგ მათეს შვილიშვილმა ვასიამ, რომელსაც ზურგზე ტილოს ჩანთა ქონდა მოგდებული, როგორ გაუჩინარდა იგი, თავის შარიკთან ერთად, ტყისპირა ბუჩქებში, როგორ გამოიტანა შემდეგ მოხუცმა ქუჩაში ტყავამოკრული, ფართო მონადირული თხილამურები და დათვის ქონის წასმა დაუწყო, თან დროდადრო თვალს აპარებდა იმ ქოხის ფანჯრებს, სადაც გერმანელი ოფიცერი ცხოვრობდა.

ამასობაში გერმანელები შეტევისათვის ემზადებოდნენ. ოფიცერი მაგიდას უჯდა და კარბიდის ნათურის მკრთალ შუქზე ამთავრებდა წერილს თავისი ძმის—ვილჰელმისადმი, რომელიც საქსონიის ოპტიკურ ქარხანაში მუშაობდა.

„საყვარელო ვილი, — სწერდა იგი, — აი, უკვე ერთი თვეა, რაც ეს წერილი დავიწყე და ვერა და ვერ დავამთავრე. იმიტომ კი არა, რომ სამისო დრო არ მქონდა. არა! დრო უამრავი მაქვს! უკანასკნელ თვეებში აქ, ამ წყეულ ტყეებში მჯდარნი, სულ ერთსა და იგივე სულელურ სამხედრო სწავლებას გავდიოდით, რაც ჩვენ არასოდეს არ გამოგვადგება. რადგან ამ რუსებმა თავდაყირა დააყენეს ომი და ყოველგვარი წესების გარეშე იბრძვიან. დღეს შეტევაზე გავდივართ და ეს წერილი გასვლამდე მინდა დავამთავრო...

...მომილოცე! დღეს მგონი დიდი გამარჯვება მოვიპოვე და, უნდა გამოგიტყდე, მოულოდნელი გამარჯვება. მივაგენი გასაღებს ამ წყეული რუსული სულისას, რომელმაც ამდენი ფათერაკი შეგვამთხვია. ახალი არაფერია, ძვირფასო ძმაო, ეს ძველი კეთილი გასაღებია, რომელიც მთელ ევროპაში გვიღებდა გულებს. ფული, ჩემო საყვარელო, ჩვეულებრივი, მოხერხებულად შეთავაზებული ფული, რომელსაც სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ჩვენ ნაკლებად ვთავაზობთ: გვგონია, რომ ეს საბჭოელი რუსები — განსაკუთრებული ხალხია, რომ აქ უფრო დამაჯერებლად გაისმის ბატონი ჰიტლერის ვაჟკაცების ავტომატის ხმა. გახსოვს, იანვარში გწერდი ადგილობრივ უხუცეს მონადირეზე, რომელსაც მეფე ლირის გარეგნობა აქვს და რაღაც უცნაური სახელი, რომელიც ვერაფრით დავიმახსოვრე (ეშმაკმა წაიღოს ეს რუსული სახელები!). დღეს ექსპერიმენტი მოვახდინე მასზე და, წარმოიდგინე, ჩემო ძვირფასო ვილი, ექსპერიმენტი ბრწყინვალედ დასრულდა. თვალის ახახვევად ცოტა შეყოყმანდა მოხუცი და მერე დაგვეთანხმა დღეს გაგვიყვანოს... აი, კურტმა უკვე მომახსენა, რომ ათასეული მზად არის დაიძრას. მშვიდობით, საყვარელო ძმაო, გეხვევი როგორც ყოველთვის, წერილის დამთავრება კი უთუოდ სხვა დროს მომიხდება...“

შებინდებისას სამთო მსროლელი ათასეული სრული აღჭურვილობით — თხილამურებითა და მარხილებზე დადგმული ტყვიამფრქვევებით სოფლიდან გავიდა, ფართო გზიდან გადაუხვია და ტყეს შეერია. წინ კი გამლილი მონადირული ნაბიჯით თვითნაკეთ ფართო თხილამურებს მიასრიალებდა მათე კუზმინი. ცრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა



და მშრალი, შრიალა თოვლი. მალე ისე ჩამობნელდა, რომ მეთხილამურეები წინ მიმავალთა ზურგებსღა ხედავდნენ. მოხუცს პირდაპირ ყამირით მიჰყავდა გერმანელები.

მთელი ღამე მისრიალებდა რაზმეული ფეხშეუხებელ თოვლსა და ტყის რუების გაყინულ კალაპოტებში, მთელი ღამე მიარღვევდა ბუჩქნარებს. ოფიცერი კომპასით ადევნებდა თვალს რაზმეულის სვლას, მალიმალ აჩქარებდა წინ მიმავალ მათეს და თარჯიმანის მეშვეობით ეკითხებოდა, რად არის ეს გზა ასე დახვეული და მალე მივალთ თუ არა.

— ტყეში გზატკეცილები არ გახლავთ... მოითმინეთ, თქვენო კეთილშობილებავ, დილით მივალთ, — პასუხობდა მათე და თოფს შეახსენებდა.

იარაღისა და საბრძოლო მასალის სიმძიმით გერმანელ მსროლელებს თანდათანობით ელეოდათ ძალ-ღონე და ძლივსღა მილასლასებდნენ უზარმაზარი საუკუნოვანი ტყით. სიბნელეში ხეებს ეჯახებოდნენ, ბუჩქებს ებღაუჭებოდნენ, ერთმანეთს თხილამურებზე ადგამდნენ ფეხს, ეცემოდნენ, ისევ დგებოდნენ და ეჩვენებოდათ, რომ ეს ულრანი ტყე, ჩუმად და მრისხანედ რომ შრიალებდა ღამის სიბნელეში, განგებ აყრიდა ამ ნამქერს, ტანსაცმელზე ებღაუჭებოდა ბუჩქების ბრჭყალებით, გზას ულობავდა ხეებით. ეფრეიტორთა შეძახილები თავს ველარ უყრიდა ნაწამებ, გაფანტულ კოლონას.

როდესაც ნარინჯისფერმა სუსხიანმა რიჟრაჟმა გამოანათა, რაზმის ავანგარდი რის ვაი-ვაგლახით გამოვიდა ტყის პირას და ღრმა ხევთან შეჩერდა.

—აჰა, მგონი მოვედით. მათე კუზმინმა იცის თავისი საქმე! — თქვა მოხუცმა.

მათემ ქუდი მოიძრო და იმავე ქუდით შეიწმინდა შეოფლილი მელოტი თავი.

პირდაპირ თოვლში ჩამსხდარი გაწამებები გერმანელი ოფიცრები თუთუნს ეწეოდნენ და გაყინული, აცახცახებული თითებით ძლივს ეჭირათ სიგარეტები, ეფრეიტორი გამყივარი ხმით მინდვრისაკენ მიერეკებოდა გზაში ჩამორჩენილ მსროლელთ, რომელთაც თეთრი სანიღბო ხალათები შემოხეოდათ და დაჭუჭყიანებოდათ. ბორცვზე მდგარი მათე კუზმინი კი ღიმილით გასცქეროდა ალაპლაპებული თოვლიანი მინდვრების თავზე ამომავალ მზეს. მოხუცი ღი-

მილს არ ფარავდა, ცერად უყურებდა გერმანელებს.

სუსხიანი, მშვიდი დილა იყო. თხილამურების კვალზე მსხვრევით მტვერდებოდა მშრალი, გაყინული თოვლის ზედაპირი. თხმელის ბუჩქნარში ხმიანად ქლურტულებდნენ სტვენიები და საქმიანად ჩიჩქნიდნენ პატარა შავ გირჩებს. სადღაც სულ ახლოს ძაღლმა დაიყეფა.

— მათე კუზმინმა იცის თავისი საქმე! — გაიმეორა მოხუცმა.

გამარჯვებულის ღიმილმა გაანათა მისი გაბურძგნული წვერი და კუშტი სახე.

და უცებ, ტყვიამფრქვევების მშრალმა ტკაცანმა გაჰკვეთა სიჩუმე. იწივლეს ტყვიებმა და გაყინული თოვლის გარსზე ფიფქების წვრილწვრილი შადრევნები ამტვერეს. სროლის გამოძახილი გრუხუნით მოედო ტყეს. შერხეული ტოტებიდან შრიალით ჩამოცვივდა თოვლი.

ტყვიამფრქვევები სულ ახლოდან ურტყამდნენ, მეთხილამურეები ვერ მიმხვდარიყვნენ რაში იყო საქმე, დამფრთხალნი და გაოცებულნი გაყინულ თოვლში წვებოდნენ, ტყვიამფრქვევები კი ცელავდნენ და ცელავდნენ დაბლობს და ორი მხრიდან ავიწროვებდნენ კოლონას. გონსმოსულმა გერმანელებმა ის იყო ტყისაკენ პირი იბრუნეს, მაგრამ აქაც, ბუჩქებგადაღმა გულმოსულად კაკანებდნენ ავტომატები.

გერმანელი ჯარისკაცები ყრიდნენ მინდორში თხილამურებს, თავზარდაცემულნი ყვირილით ერთმანეთს ეხეთქებოდნენ და მშრალ თოვლში ეფლებოდნენ. გაყინული თოვლის ბრჭყვიალა ზედაპირი ჭუჭყიანი სანიღბო ხალათებით იფარებოდა. ოფიცერი გონს მოვიდა და მოხუცს მიეჭრა.

მათე კუზმინი თავშიშველი იდგა ბორცვზე. შორიდან ჩანდა, ქარი როგორ უწეწდა წვერს, მელოტგარშემო თმებს უფორიაქებდა. ხშირ წარბებქვეშ მოწკურული თვალები დამცინავად უელვარებდა. ღვარძლიანად ადევნებდა თვალს, თუ როგორ აწყდებოდნენ ცხვრის ფარასავით გერმანელები აქეთ-იქით.

ოფიცერს ჩაჩქვეშ თმები ყალყზე დადგომოდა. წამით იგი რაღაც მისტიკური შიშით შეჰყურებდა ამ ტყის კაცს, მშვიდად მოზეიმე რომ იდგა სიკვდილით მოცულ მინდორზე, შემდეგ ნერვიული სისწრაფით გაიძრო პარაბელუმი და შუბლში დაუმიზნა მოხუცს.

მათე კუზმინმა დამცინავად, უშიშრად გაუღიმა მას:

— მოხუცი კუზმინის ყიდვა გნებავდა?.. შენი არშინით ზომავ ადამიანებს, ფაშისტო?!.

მოხუცმა თავისი სამყურა ქუდის სარჩულიდან ასმანეთიანი ქაღალდები ამობოჭა, ოფიცერს შიგ ცხვირპირში მიაყარა და დამიზნებულ რევოლვერს ზიზღით შეაბრუნა პირი. მათე კუზმინმა შენიშნა, რომ მეტყვიამფრქვევენი შიშობდნენ ტყვია მისთვის არ მოეხვედრებინათ და ბორცვისაკენ, სადაც იგი იდგა, არ ისროდნენ. გერმანელებმაც შენიშნეს ეს, შეეცადნენ ის ბორცვი ფარად ეხმარათ და ტყისაკენ გაქცეულიყვნენ. ზოგმა კიდეც გადალახა უკანასკნელი ნამქერი და ის იყო ტყის პირს მიატანა.

მათე კუზმინმა თავისი გაბურძგნილი ქუდი აიქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იყვირა:

— ბიჭებო! ნუ გებრალებათ მათე, დასცხეთ, რაც შეიძლება მაგრად! ისე დასცხეთ, რომ არც ერთი ქვეწარმავალი არ წაგვივიდეს ხელიდან!.. მათე კუზმინმა იცის თავისი საქ...

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო მათემ, ერთი ამოიხრიალა და, გერმანელი ოფიცრის ტყვიით განგმირული, ნელ-ნელა დაეშვა მიწაზე. მაგრამ ვერც ოფიცერმა მოახერხა გაქცევა. ორი ნაბიჯიც არ გადაუდგამს, ტყვიამფრქვევის ჯერით მოცელილი, ისიც დაეცა.

შორს, ხრამში კი, იფეთქა და თანდათან იმატა „ვაშას“ გრიალმა. ქარებისაგან გაპრიალებულ ღელეს ახტებოდნენ მეავტომატეები. სროლით გარბოდნენ მინდორზე, უკანასკნელ გერმანელებს ფეხდაფეხ მისდევდნენ, ტყვიას აყრიდნენ, ეწეოდნენ, თოვლზე აჩარცხებდნენ, იარაღს აყრევინებდნენ... მეავტომატეთა გვერდით მირბოდა მოხუცი მონადირის პატარა შვილიშვილი — ვასია კუზმინი, რომელიც ბაბუამ გაგზავნა ფრონტზე თავისიანებთან, რათა გარღვევის მზადების შესახებ ეცნობებია. მეტევაზე გადასული ჯარისკაცების ფეხებში გაფთრებული ყეფით მოგორავდა და ღრმა თოვლში ეფლობოდა გაბურძგნილი, გაგულისებული შარიკი. უეცრად იგი შედგა, გაოცებით ცქვიტა ყურები და გრუხუნი, რომელიც ტყიდან მოისმოდა, სევდიანმა გაბმულმა ყმუილმა გაჰკვეთა...

ასე დაამთავრა თავისი ხანგრძლივი ცხოვრების უკანასკნელი დღე ამჟამად სელით ცნობილი ველიკიე ლუკის სასოფლო-სამეურნეო არტელ „განთიადის“ კოლმეურნე მათე კუზმინმა.

იგი დაკრძალეს მდინარე ლოვატის მაღალ ნაპირზე, დაკრძალეს, როგორც ოფიცერი, მხედრული პატივით. ორი ბათქი მისცეს მის ახალგაჭრილ საფლავზე, გაყინული მიწის ბელტებით რუხად რომ გამოიყურებოდა თოვლით გადაპენტილ მინდორზე.

იმავე საღამოს დივიზიის დაზვერვის უფროსმა, როცა იგი დახოცილ გერმანელთა საბუთებს ათვალიერებდა, წაიკითხა გერმანელი ოფიცრის დაუმთავრებელი წერილი, რომელიც მაინც ვერ მიიღო საქსონელმა ინჟინერმა ვილჰელმ შტაინმა.

თარგმნა ბ. ვაშაძემ

ნახ. ჯ. ლოლუასი



# ჯეჯილი



ანასტასია
ერისთავ-ხოშტარია

ალბათ, ყველას გაგიგონიათ სიტყვა „ჯეჯილი“ და მისი შინაარსიც გესმით, მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ეს სახელი ერქვა ერთ ქართულ საბავშვო ჟურნალს, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა დიდი ხნის წინათ — 1890 წელს. ამ ჟურნალის გამოცემა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ — ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელმა ითავა, რითაც დიდი ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეს. თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რა ძნელი იყო იმ დროს ჟურნალ-გაზეთების გამოცემა. ეს რთული საქმე, სიყვარულისა და ცოდნის გარდა, კიდევ მოითხოვდა თანხას, რომელსაც, როგორც წესი, სახელმწიფო არ იღებდა. ბევრი ქართული გაზეთი და ჟურნალი გამოცემისთანავე ქრებოდა. ბევრიც ხანგამოშვებით, ხან ისურებოდა, ხან ისევ განახლდებოდა. ხშირად, ამაო იყო გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა ცდა — უსახსრობა აიძულებდა მათ, ხელი აეღოთ ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეზე. ასეთ მძიმე პირობებში ანასტასია თუმანიშვილის მიერ ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცემა სწორედ რომ გმირობა იყო. „ჯეჯილის“ ორგანიზატორსა და პირველ რედაქტორს მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდა. აი, რას სწერდა ამის შესახებ ანასტასია თუმანიშვილი საზოგადოებისადმი თავის მიმართვაში: „ექვსი წელიწადია, რაც მე ვკისრე იმისთანა ძნელი საქმე, როგორიც არის საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა. მე ამ საქმეს მოვკიდე ხელი იმიტომ კი არა, რომ ჩემი თავი მიმაჩნია უცოდველ პედაგოგად, ან მეცნიერებით აღჭურვილ, ან მწერლობაში შემჩნეულ პირად. მე მხოლოდ იმედი მქონდა, რომ შრომის, საქმის სიყვარულის და ენერგიის დახმარებით გავიტანდი ამ მძიმე უღელს. ამასთანავე მოველოდი, რომ კრიტიკა სწორ გზას მიჩვენებდა და საზოგადოება თანაგრძნობას არ მომაკლებდა. ისე, რომ „ჯეჯილის“ გამოსვლის პირველ წელიწადს (1890), როდესაც სამოცი თუმანი დავადე ამ საქმეს, (აქ უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ ნომრების ხარჯი) მე არაფრად მივიჩნიე, მაგრამ დანარჩენმა ხუთმა წელიწადმა სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო და არ შემიძლია არ გავუზიარო ყოველივე ეს იმ პირებს, ვისთვისაც ეს საქმე იქნება ძვირფასი იყოს, ამასთანავე ადრევე არ გავიმართლო თავი, თუ იძულებული გავხდი და ჟურნალი მოვსპე“. მიუხედავად ანასტასიას ასეთი სასოწარკვეთისა, „ჯეჯილმა“ საკმაოდ დიდხანს იარსება. როგორც ზაქარია ჭიჭინაძის წერილიდან ჩანს, ეს ჟურნალი მოსწონდათ და მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდათ: „იგი (ე. ი. „ჯეჯილი“) კაი მშვენიერება არის, — წერდა ზაქარია ჭიჭინაძე, — ჩვენი საყმაწვილო მწერლობის ასპარეზზე. მისი მშვენიერი სურათები და სხვადასხვა წერილები და მოთხრობები საკმარისად ამდიდრებენ ჩვენს საყმაწვილო ღარიბ მწერლობას. საუბედუროდ, მხოლოდ ჟურნალს არ ჰყავს ბევრი ხელის მომწერი, მისი ხელის შეწყობა კი სასურველია“.

„ჯეჯილი“ მართლაც საინტერესო ჟურნალი იყო თავისი დროისათვის. საკმარისია მოვიგონოთ, რომ „ჯეჯილის“ ფურცლებზე დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, აკაკი წერეთლის იგავ-არაკები, ვაჟა-ფშაველას საბავშვო ნაწარმოებები, ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯა“ და სხვა მოთხრობები, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობები, შიო მღვიმელისა და გიორგი წერეთლის, თედო რაზიკაშვილისა და პეტრე უმიკაშვილის და სხვათა და სხვათა, იმ დროისათვის გამოჩენილ მწერალთა, ისტორიკოსთა და პუბლიცისტთა ნაწარმოებები. ჟურნალში სისტემატურად იბეჭდებოდა, აგრეთვე, ქართული ხალხური შემოქმედება და საზღვარგარეთელი მწერლების საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებები ანდერსენის ზღაპრების ჩათვლით. „ჯეჯილმა“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართველთა ახალი თაობის აღზრდის საქმეში იგი თავისი ხატოვანი სიტყვით ქართველ ბავშვებს უნერგავდა სამშობლოსა და ხალხის, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სიყვარულს, (აღსანიშნავია, რომ აქ იბეჭდებოდა ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“ პროზად), მოუთხრობდა თავის პატარა მკითხველებს მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრებაზე, იმ დროს გამეფებულ უთანასწორობაზე.






ჟურნალი „ჯეჯილი“ დღესაც არ არის ინტერესს მოკლებული. ამიტომაც გადასწყვიტა რედაქციამ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, დროგამოშვებით, გამოაქვეყნოს მასალები ძველი საბავშვო ჟურნალებიდან, პირველ რიგში კი „ჯეჯილიდან“.

მედეა კვარაცხელია

# გველი

დიდს და გრძლად გადაჭიმულს ჭალას, სადაც მტრედს მარინეს ბუდე ჰქონდა, დიდი მდინარე ჩაუდიოდა დასავლეთის მხრით. თითონ ჭალას შუაზე ჭრიდა ანკარა, მუდამ წმინდა ზამთარ-ზაფხულ — ფშა.

გაზაფხულიდან დაწყებული ზამთრის პირამდე მდინარე ერთთავად მღვრიე იყო, ხოლო ეს ფშა კი სულ წმინდა, ლილისფერისა. სადაც ჭალა თავდებოდა, ფშაც იქ ერეოდა მდინარეში და იცით, ამ დროს ანკარა ფშა რას მოაგონებდათ? — ზიარებას. ის მდინარეღა? ცოდვილს ადამიანს, რომელიც ზიარებით იკურნავს თავს და იწმინდება ცოდვებისაგან.

ჭალა რაღას გავდა? — უმანკოებას. დიაღ, უმანკოებას გავდა, მაგრამ იქ ერთი საშინელი ცოდვა დატრიალდა. ეს შემდეგისათვის დარჩეს. ახლა ისა ვთქვათ, რით იყო ჭალა უმანკო... იქ აუარებელი გუნდი ფრინველთა უგალობდა მათ. რამდენჯერ, როცა მთაში დიდი თოვლი მოსულა და შველს გაჭირებია სიარული, ამ ჭალისთვის მიუმართნია და აქ შეხიზნულა; ბევრჯერ ხარირემს ჩამოუტანია აქ თავისი ბორჯღიანი რქები. ჭალა ყველას ეგებებოდა, არც ერთ სულიერს და უსულოს, არც ერთს მწერს არ გაუგონია მისგან: აქ ნუ ხართ, ჩემს სახლში, გასწით, გამეცალეთ... სხვებს რას ეტყოდა, როცა ჯერ მხამიანს გველს არ ირიდებდა: ისიც ისე ჰყავდა მიღებული, როგორც ყველა სხვა არსება, თითქოს ისიც საჭირო იყო ჭალისათვის, საქმეც ამაშია.

კარგა ხანია, რაც გველი აქ დაბინავდა. იგი თამამად დაცურავდა ხშირ ბალახში. არავისი იმას არ ეშინოდა. ზაფხულობით ერთი ადგილი ჰქონდა ამორჩეული, სადაც იმას უყვარდა წოლა და ძილი. ეს ადგილი ცოტა ქვიშრობი იყო, როცა დაცხებოდა, აქ წამოწვებოდა და ცხარე მზის სხივებს მიუპყრობდა გვერდებს. ყველას, რასაც ამ ჭალაში ნახავდა, ყველას მოსწამლავდა, ელაბუნებოდა. ყვავილებსაც კი — იმ იმედით, იქნებ მოვსწამლოო, მოუჭერდა კბილს და, შხამს, თავის გესლს გადაასხამდა, მაგრამ ისინი არ იწამლებოდნენ, არამედ ისევ ყვაოდნენ. გველს უკლავდა და უშხამავდა გულს — როგორ თუ ჩემი გესლი მაგათზე არ სჭრისო.

ერთხელ ხარ-ირემსაც კი შეეპოტინა ამ განზრახვით, ვითომდა თავის ჭკუაში უნდა მოეწამლა. ხარ-ირემი მაშინ ჭალის მწვანე ბალახს ძოვდა და გველიც იქვე ბალახში იყო მოკეცილი, დახვლანჯული, ეძინა. ირმის ფშვინვაზე გველმა თვალები გაახილა და რა დაინახა სიტურფე, მშვენება ტყისა, თვალის ახილებისთანავე გულში გაივლო: უნდა მოვწამლოვო; თავი აიღო, ენა გამოაგდო და უმარჯვა ირემს ტუჩთან, ენას ასავსავებდა, ვითომ გეალერსებიო. მაგრამ ამაოდ დაურჩა ეს ხრიკი: ირემმა ტოტი დაუქნია და კინაღამ მოკლა იგი; გველი შეშინებული, როგორც სილა ყინულზე, ისე გასრიალდა ბალახებში და მის შემდეგ ველარც ბედავდა ირემთან ალერსობას.

იქვე, საცა გველს წოლა და ნებივრობა უყვარდა, პატარა რცხილის ბუჩქზე მტრედს ბუდე ჰქონდა. საბრალოს დოლობა მოუცდა და ორი ხუნდი ძლივს გამოჩეკა. დედას თავისი შვილები ძალიან უყვარდა, დიდს ალერსში ჰყავდა ისინი. რამდენს საცოდაობაში იყო საბრალო, რომ არ მოეშივებინა იმათთვის; აწყდებოდა აქეთ-იქით, მოქონდა შვილებისათვის ჭია-ღუები. მიუჯდებოდა ბუდის პირზე და ისინიც პირის გაღებით ანიშნებდნენ: გვშიან, დედაო, გვაჭამეო. დედაც საჭმელს ნისკარტით უდებდა შვილებს დაღებულს ნისკარტში. გველი ამას ხშირად ხედავდა და გული ბრაზით და შურით ევსებოდა. შურდა, რომ პატარა ხუნდებს ასე ეალერსებოდა და ანებივრებდა დედა, შურდა, რომ ხუნდებს ეალერსებიან, უყვართ და ის კი ყველას სძულს. შურდა იმათთვის სიცოცხლე. ახლა ეგენიც უნდა დაიზარდენ, ვითომ ღირსნი იყვენ სიცოცხლისა, და უნდა იფრინონ და იდვრინონ ამ ჭალაში; მოიცათ მე დაგაღებინებთ თქვენ პირებს, როგორც შეგშვენით, — ამბობდა გველი ბრაზმორეული. მართლაც, ერთხელ, როცა მტრედი წასული იყო შვილებისთვის საჭმლის საშოვნელად და ხუნდები კი მოუთმენლად მოელოდნენ, პირდაღებით და წრიპინით იუწყებოდნენ გვშიაო, გველი ამ დროს მოცოცდა ჯაგთან, აიწია თავი მაღლა და ენა გამოაგდო და მიუშვირა ჯერ ერთს, ვითომ ეს ჭიაა: მე დედაშენი გაწვდი ამ საზრდოს და ჩაასხა შხამი, ახლა მეორეს. ცოტა ხანს შემდეგ მტრედიც დაბრუნდა, მაგრამ მისი შვილები პირებს ველარ აღებდნენ, თუმც ის აწვდიდა, პირში უდებდა საჭმელს. გველი ამ დროს შორიახლოდან უთვალთვალებდა ამ სეირს და სიცილითა კვდებოდა.

დედა ატრიალებს, აბრუნებს გვერდზე ხუნდებს, შეწუხებული...

გველი იცინის...

დედა თავზე ევლება ხუნდებს, მაღლა-მოუსვენრად ტოტით-ტოტზე ფრინავს და აცქერდება კვლავ ისევ შვილებს თვალებში, რაღაცას მოსთქვამს, რაღაცას ღუღუნებს... გველი იცინის.

დედა წყალზე დაეშვა, ნისკარტით ფშადან წყალი აკრიფა და ხუნდებს ასხამს თავზე... გველი კი იცინის.

ხანი გავიდა... პაპანაქება დღე იყო. ბუდეში გუნდი და გუნდი ბუზების ირეოდა. დედა მტრედი აღარსად ჩანდა ბუდის ახლო-მახლოს.

გველი კი ისევ იცინოდა.

ვაჟა-ფშაველა

# ჯეჯილი

ზამთარი გადის, სუყველგან
დნება თოვლი და ზვავია,
ია იშლება, ჯეჯილსაც
ამოუყვია თავია.

აქამდის იყო თოვლის ქვეშ
დაფარულ-დამალულია,
ახლა კი მზისა სხივებზედ
გადაუშლია გულია.

შეხედეთ ერთი ამ კოხტას,
რა ტურფა სანახავია!
ისე ირთის დილის ნიავზე,
ვით ზღვის ტალღებში ნავია.

ჯერ პატარაა, ქორფაა,
თანდათან გაიზრდებაო,
დაისხავს ოქროს თავთავსა,
ზღვასავით აღელდებაო.

მომკენ, მოლეწვენ, კალოს პირს
დადგება წითლად ხვავია,
და გაიხარებს გულითა
იმისი დამთესავია.

შიო მღვიმელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხალხური ლექსები

ზოგი კაცის პურ-მარილი
ზღვაზე ხიდად გაიდება.
ეგ შენი კაი კაცობა,
სადაც წახვალ თან წაგყვება.

•

ვაიმე, დედის ამაგსა
ველარ გადვიხდი, რა ვუყო?
დავემხო დედამიწასა—
ქვეშკნეთ ჰიასაც ხმა ვუყო.

•

შენი ჭირიმე, ვაჟკაცო,
მამულისშვილო, გულადო,
ვისაც მოძმე გიჩნს თვის ძალად
და მტერსა ხვდები მტრულადო,
ვისაც ჩაგრულთა ცხოვრება
გულში გიჩნდება წყლულადო
და წარჩინება მოყვასთა
გიჩანს დიდ სიხარულადო,
ვინც თავი სწავლით იბრწყინე,
დრო არ დაკარგე ტყულადო
და შენი სახელ-დიდება
მტერს არ მიყიდე მტრულადო.

## ენის გასატეხი

შენი ქინძი, კამა, პიტნა, ტარხუნა—შენ თუ გექინძ-გეკამ-გეპიტნ-გეტარხუნება, თორემ მე არაფერი მექინძ-მეკამ-მეპიტნ-მეტარხუნება.

•

ფეფე ტაფაზედ ფეტვს ფშრუტავს.

•

აგერ მივა შავი კაცი, შავ-ცხენ, შავ-პაიჭ-ხარაჯიანი.

•

ეს ჩვენი სკვინჩა-წრიპა-ყარანა—ნეტავი რას გვესკვინჩ—გვეწრიპ-გვეყარანება.

## ანდაზები

ადრე ამდგარსა ყმაწვილსა
დედა უმზადებს სადილსა.

•

პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო.

9071

## ჰაერის „ბალიში“

შესანიშნავი სანახაობაა თხილამურებით ხტომა! აი, ცის ფონზე, მაღლა, ტრამპლინზე გამოჩნდა მოთხილამურის სილუეტი. თითქოს თვითმფრინავში ზის, ისე ხედავს იგი დედამიწას, ხის კენწეროებს, უფრო შორს, ქათქათა თოვლის ფონზე კი წერტილებივით მოჩანან ადამიანები. მესტარტემ ნიშანი მისცა, სპორტსმენი ჩაცუცქდა და თოვლით გატკეპნილ კალაპოტით ისარივით დაეშვა ძირს. მომქრის მოთხილამურე, სულ უფრო და უფრო იზრდება სიჩქარე. აი, მიუახლოვდა არეკნის ადგილს, წამიც და, მოწყდა საყრდენს—ადამიანი უკვე ჰაერშია.

სულ რამდენიმე წამს გრძელდება ხტომა, მაგრამ დროის ამ მოკლე მონაკვეთში სპორტსმენი ათობით მეტრ მანძილს ფარავს. იმისათვის, რომ ნახტომი გრძელი, სრულყოფილი და ლამაზი იყოს, მარტო გამბედაობა როდია საკმარისი. ტრამპლინიდან მხტომელი კარგად უნდა იყოს ნავარჯიშევი და თან აუცილებლად უნდა იცოდეს ფიზიკის კანონები.

ნახტომის სიგრძე უპირველესად დამოკიდებულია ქანეზე. რაც უფრო სწრაფია ქანი, მით უფრო მეტ მანძილს გაიფრენს მოთხილამურე. ამასთან, რაც უფრო დიდია ტრამპლინი, მით უფრო გრძელია ხოლმე ნახტომის სიგრძე. ჰაერის წინააღმდეგობა და დედამიწის მიზიდულობა რომ არა, ნახტომი მართლაც უსასრულო იქნებოდა.

იმ წამიდანვე, რა წამსაც სპორტსმენი ჰაერში ახტება, ყველა მისი მოძრაობა აეროდინამიკის ულმობელ კანონს ემორჩილება.

იყო დრო, როდესაც ტრამპლინიდან წელში გამართულნი ხტებოდნენ. ასეთ მდგომარეობაში ძნელი იყო შორს გადახტომა—ძალზე დიდ წინააღმდეგობას უწევდა სპორტსმენს ჰაერი, ხელს უშლიდა შორს გადახტომაში.

ფიზიკიდან ცნობილია, რომ მოძრავი სხეულისადმი ჰაერის წინააღმდეგობა, სისწრაფის კვადრატის პროპორციულად იზრდება. ეს ჩვეულებრივ იმას ნიშნავს, რომ თუ ხტომის სისწრაფე ორჯერ გაიზრდება, მაშინ ჰაერის წინააღმდეგობა ოთხჯერ მეტი იქნება; ხოლო თუ სისწრაფე სამჯერ სწრაფი იქნება, ჰაერის წინააღმდეგობა უკვე ცხრაჯერ გაიზრდება.

ამიტომაა, რომ წყნარ, უქარო ამინდშიც კი, ტრამპლინიდან მხტომელს ყურში ჰაერის წივილი ესმის და ჰაერს რომ მკერდით აწვება, იგი მკვრივ საგნად ეჩვენება.

გამოცდილმა სპორტსმენებმა იციან, როგორ გამოიყენონ ეს ერთის შეხედვით ხელისშემშლელი მოვლენა თავის სასარგებლოდ. მოთხილამურე, როდესაც მაღლიდან ეშვება, ჩამჯდარია და ამით მინიმუმამდე ამცირებს ჰაერის წინააღმდეგობას. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ იმ შემთხვევაში, როცა სპორტსმენი გამართული ტანით ეშვება, იგი ოც კილოგრამ სიმძიმის წინააღმდეგობას სძლევს, მაგრამ საკმარისია ჩაჯდეს, რომ წინააღმდეგობა თითქმის ორჯერ შემცირდება და ამდენად სისწრაფეც შესაბამისად გაიზრდება.

სპორტსმენი რომ ტრამპლინიდან აირეკნავს და უკვე ჰაერშია, იგი დიდი სისწრაფით (საათში 130 კილომეტრი) მიფრინავს და ცხადია ჰაერის წინააღმდეგობა კიდევ უფრო გაზრდილი. მაგრამ გამოცდილმა სპორტსმენმა იცის, როგორ უნდა მოიქცეს. იგი წინ გადაწვება და ამით არა მარტო, ამცირებს ჰაერის წინააღმდეგობას, არამედ, და ეს მთავარია, ჰაერის მასას აიძულებს შეაკავოს სხეული. სხვანაირად რომ ვთქვათ, სპორტსმენი თითქოს სპეციალურ ჰაერის მკვრივ ბალიშს ტანით აწვება. სხვათაშორის, ეს იგივე ძალაა, რომელიც თვითმფრინავს ჰაერში აჩერებს. ცხადია, ეს იოლი შესასრულებელი როდია და ამიტომაა სწორედ, რომ ნახტომის სიგრძესთან ერთად, სპორტსმენის ოსტატობაც ძირითადად ამით ისაზღვრება.

ჰაერში „გაწოლის“ ერთ-ერთი შესანიშნავი შემსრულებელია ბაკურიანელი სპორტსმენი—კობა წაქაძე. ტყუილად ხომ არ შეარქვეს „მფრინავი რაკეტა“. იგი ისეა გაწოლილი ჰაერში, რომ ლამისაა ცხვირი თხილამურს დაადოს.

დღეისათვის ყველაზე დიდი ტრამპლინი ობესდორფშია (გერმანია). ამ გიგანტური ტრამპლინიდან 1951 წელს ფინელი სპორტსმენი ლუირო 139 მეტრზე გადახტა. ეს შედეგი ჯერ კიდევ გადაულახავია და ტრამპლინიდან სიგრძეზე ხტომის მსოფლიო რეკორდად ითვლება.

გ. გოლეთიანი





# ავტობუსით

მოთხრობა

არჩილ შიმშანაშვილი

იმ დღეს მშვენიერ გუნებაზე ვიყავი—ყველა მოსწავლე მომზადებული გამოცხადდა სკოლაში. გაკვეთილები ისე დავამთავრე, არც ერთი ორიანი არ დამიწერია. ახალი მასალაც ხალისიანად, გულმოდგინედ ავხსენი, თითქმის გაკვეთილებზევე შევასწავლე ბავშვებს, საშინაო დავალება მივეცი და გამოვემშვიდობე...

რაიონის ცენტრში მივდიოდი. შარაზე ჩამოველ და ავტობუსს დავუწყე ლოდინი. იმასაც არ დაუგვიანია, კოხტად მოგოგმანდა, კარი ზედ წინ გაიღო, ერთი-ორი მგზავრი ჩამოვიდა. ავედი, თავისუფალი სკამი იყო და მოვთავსდი. მიჰქროდა ავტობუსი ასფალტიან შარაზე. ზოგი მგზავრი თვლემდა, ზოგი ერთმანეთში წყნარად საუბრობდა.

ჩემ წინ ორი ბიჭი იჯდა, ალბათ, ძმები იყვნენ. ერთი თორმეტ-ცამეტი წლისა იქნებოდა, მეორე — უფრო პატარა. შავგვრემანები იყვნენ ორივენი, შავი თმები ჰქონდათ და შავ-შავი თვალ-წარბი. ლამაზები იყვნენ, მკვირცხლები. მნახველი იტყოდა: გაუმრავლდით პატრონსაო!

მეც ვფიქრობდი: ესენი მშობლებისა და სკოლის სიამაყენი იქნებიან-მეთქი. მინდოდა მივალერსებოდი, მეკითხა სადაურობა, სად მიდიოდნენ,— მაგრამ რატომღაც არ გამოვლაპარაკებივარ.

ავტობუსი კი მისრიალებდა გზატკეცილზე, მანძილს ხარბად სვამდა, როგორც მოწყურებული ირემი წყაროს. ჩასუქებული შოფერი მარჯვედ ატრიალებდა საჭეს, გზას ფხიზლად გასცქეროდა, დროდადრო წაიხუმრებდა, გაჩერებაზე კი დინჯად იტყოდა:

— აბა, ხომ არავინ ჩაბრძანდება?

— უი, უი, გააჩერეთ, გააჩერეთ! — ახმიანდებოდა ვილაცა, როცა გაჩერებას გავცდებოდით.

— ჩაგეძინა?

მგზავრები გაიცინებდნენ, „ნამძინარევი“ კი უკვე მანქანიდან ჩარბოდა და ბოდიშობდა.

და ისევ განაგრძობდა სქელი შოფერი ბუბუნა ხუმრობასა და ღიღინს, კვლავ მარჯვედ ატრიალებდა მანქანის საჭეს, ფხიზლად გასცქეროდა გზას, და მოისწრაფოდნენ ჩვენს შესახვედრად ცად აზიდული მთები, გრუზა გორები, მკერდბაკანა მინდვრები, სწორ-ზოლებიანი ვენახები, ხეხილით ჩახუჭუჭებული ეზოები და წითელკრამიტა სახლები, — მაღლები და ახალთახლები,—ქვითკირისანი...

მგზავრები იცვლებოდნენ ავტობუსებში. ძველებიდან ცოტანიღა დარჩნენ. ის ორი ბიჭი არ ჩასულა. ისხდნენ ჭკვიანად. ანცობდნენ, მაგრამ არაფერში არ აჭარბებდნენ. მე შევხაროდი მათს სიკისკასეს, სინორჩესა და სილამაზეს.

ამხანაგთან საუბარში გავერთე და შესვლისას ბილეთის აღება დამავიწყდა. ავტობუსს ბილეთების გამყიდველი არ ჰყავდა, შოფერი ყიდდა ბილეთებს. როცა მანქანა უკანასკნელ გაჩერებაზე მივიდა, შიგ ცოტანიღა ვიყავით. ყველაზე უკან დავრჩი. ის ორი ბიჭი კარებთან ჩასულიყო და იცინოდნენ, რა ვიცი, რადა.



შოფერს ოცკაპიკიანი გავუწოდე და ვეუბნები:

— აჰა, ბუზა, კურდღელაურიდან მოვდივარ, ხომ იცი!

— არ მინდა ფული. დღევანდელი გეგმა გადაჭარბებით შევასრულე,—ძმაკაცობა აღარ არის?—და მსუბუ-

ქად ხელი ამიკრა. ოცკაპიკიანი გამივარდა. კიბეზე ჩაგორდა და ბიჭების წინ დაეცა. იმათ, ალბათ, ვერ დაინახეს ვის დაუვარდა ფული.

მე, ჩემო კეთილო, შიშის ზარმა დამიარა, რაღაც წინათგრძნობამ შემიპყრო და შემეშინდა. არ გაიღიმო, მხდალობა ან ძუნწობა არ დამწამო!

ჩაგორდა თუ არა ფული, გინდა დამიჯერე, გინდა არა,—იმ წამს გავიფიქრე: „ეგ ბიჭი ფეხს დაადგამს ფულს, დამალავს-მეთქი“. აი, ამან შემაშინა, თუ რად— თვითონ მიხვდები.

გავიფიქრე, მაგრამ ხმა ვერ დავძარი, ან რა უნდა მეთქვა? ეს სულ რამდენიმე წამში მოხდა, ვერაფერიც ვერ მოვასწარი, არც შოფერს გაუგია რამე,—იჯდა საჭესთან და დინჯად ფშვინავდა—ისვენებდა ნაამაგარი.

ბიჭმა აქეთ-იქით გაიხედა, ცალი ფეხის წვერი მაღლა ასწია, ალბათ, ფიქრობდა, არავინ დამინახოსო. მას ფეხის წვერი აწეული ჰქონდა, მე კი უკვე ვძაგძაგებდი.

ალბათ, გქონიათ შემთხვევა, გინახავთ: ერთ-ერთ მოჩხუბარს მეორეზე იარაღი შეუმართნია. თქვენ კი გულში გინატრიათ, იქნებ წამოგიყვირნიათ კიდევაც:

— ოჰ, არ დაჰკრას, ნეტავ კი არ დაჰკრას!

მეც ასე:

„ნეტავ არ დაადგას, ნეტავ კი არ დაადგას ფეხი!“— ვფიქრობდი.

ის წყეული ფული კი ეგდო და ბრწყინავდა, ბიჭი ფეხს აცანცარებდა, ვერც იმას გადაეწყვიტა, დაედგა თუ არ დაედგა ფეხი ფულისათვის. გუნება მთლად ამერია და, როგორც ეს სიზმარში ხდება, ბევრი რამ განვიცადე სულ მცირე დროში.

და ბიჭმა ფეხი მაინც დაადგა ფულს!

ფიცხად ჩამოვხტი მანქანიდან და თითქმის ვუბრძანე;

— აიღე ფული და მომაწოდე!

ის არც შემომკამათებია, უსიტყვოდ აიღო ოცკაპიკიანი და მომაწოდა!

ერთმანეთისათვის თვალებში არ შეგვიხედავს.

ეს კი ვუთხარი:

— მშვენიერი ბიჭი ჩანხარ, არ გეკადრებოდა!

მერე ჩემს გზაზე წავედი გუნებაამღვრეული.

არ მიკითხავს იმ ბიჭის არც სადაურობა, არც ვინაობა.

განა ან იმას ვამბობ, ქურდბაცაცა იყო-მეთქი. საიმისო არა სჭირდარა, ოჯახიშვილობა ზედ ეტყობოდა.

საქმე ის არის, რომ ჯერ კიდევ ბევრზე მოქმედებს ფულის წყეული ძალა უკუღმართად,—დიდზეც და პატარაზეც.

— ასეთები ჩვენში ცოტანი არიან!

— გეთანხმები, მაგრამ მაინც რომ არიან?!

ნახ. რევაზ ცუცქირიძისა



## ავტომობილი, მოტოციკლი, ავტობუსი, ტროლეიბუსი

„ავტო-მობილი“-შედგენილია ბერძნული სიტყვის „ავტო“—„თვით“ და ლათინური ზედსართავის„ მობილეს“-აგან, რომელიც „მოძრავს“ ნიშნავს.

„მოტო-ციკლი“ ასევე ხელოვნურად შედგენილი სიტყვაა. „მოტო“—ლათინური სიტყვის „მოტორის“ ნაწილია, რაც „ძრავას“ ნიშნავს. „ციკლოს“ ბერძნულ ენაში „წრეს“, „ბორბალს“ ნიშნავს. ასე რომ, „მოტოციკლი“ „ძრავიანი ბორბალია“ ნიშნავს.

სიტყვა „ავტობუსიც“ თითქოს ორი სიტყვისაგან უნდა შედგებოდეს: „ავტო“— „თვით“ და „ბუსი“, მაგრამ რა არის ეს „ბუსი“? საქმე იმაშია, რომ არც ერთ ენაში ეს სიტყვა თავისთავად არაფერს არ ნიშნავს. „ავტობუსმა“ თავისი სახელწოდება იმდღიდანვე მიიღო, რა დღესაც მან თავისი წინაპარი „ომნიბუსი“ შეცვალა.

როგორც ჩანს, ავტობუსის შემქმნელი კარგი ინჟინერი ყოფილა, მაგრამ ენათმეცნიერი კი არა. იგი არც კი დაფიქრებია სიტყვა „ომნიბუსის“ მნიშვნელობას, მექანიკურად მოუცლია მისთვის ძირითადი ნაწილი „ომნის“— „ყველა“, ცალკე არაფრისმთქმელი, ამ შემთხვევაში უაზრო „ბუს“ დაუტოვებია და მისთვის „ავტო“ მიუმატებია.

საოცარი რამ არის ენა! ეს დამახინჯებული, კოჭლი სიტყვა, შესანიშნავად შეითვისა ფრანგულმა, შემდეგ სხვა ენებმაც. შემდგომ, როდესაც ტრანსპორტის სხვა სახეობაც გამოიგონეს, ეს არაფრისმთქმელი ბრუნვის ნიშანი „ბუს“ მათ სახელწოდებასაც მიემატა და ასე შეიქმნა „ტროლეიბუსი“. ტროლეი – ინგლისურად — გორგოლა.

მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ინგლისში სიტყვა „ავტობუსს“ სულ მოაცალეს ძირითადი ნაწილი— „ავტო“ და ლათინური ბრუნვის ნიშანი „ბუს“—ავტობუსს ეწოდება დღეს.

## შუბლზე აწერია

ამ გამოთქმის აზრი ის არის, რომ დანაშაულის ან გაკიცხვის ღირსი რაიმე საქციელის დაფარვა ძნელი საქმეა.

გამოთქმის ისტორია ასეთია; ძველად, გადასახლებაში გაგზავნის წინ, კატორღამისჯილ პატიმრებს დაღს ასვამდნენ. გავარვარებული შანთით შუბლზე ამოჰყავდათ რაიმე ნიშანი ან ასო. ჭრილობაში ჩააზელდნენ დენთის ფხვნილს, რის შემდეგაც დაღის გაქრობა უკვე შეუძლებელი იყო.

1863 წელს კანონი დაღის დასმაზე რუსეთში გააუქმეს, ხოლო გამოთქმა — „შუბლზე აწერია“, ე. ი. გარეგნულადაც კარგად ეტყობა რა კაცია, რა დანაშაული აქვს ჩადენილიო, დღესაც იხმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოსმოსური ბილიკი

ტყიდან მოტანილ თელაზე ოსტატურად ამოძრავა საჭრეთელი ზაურმა. ნელ-ნელა გამოკვეთა რაკეტა ხეზე, რაკეტაში კოსმონავტი ჩასვა, „ალმოსავლეთი-1“, მიაწერა კოსმოსურ ხომალდს და ნამუშევარიც მზად იყო.

მეორე დილით, თიანეთის ზარიძეების რვაწლიანი სკოლის მეხუთე რაზმელებმა ზაურ ფილაურის ახალი ნამუშევარი პიონერთა ოთახში ჩამოკიდეს, სადაც თითქმის მთელი კედელი დაეფარა ზაურის ხის ნაკეთობებს: აქ არის „საქართველოს გერბი“, ხეზე ოსტატურად ამოკვეთილი ვაჟა-ფშაველას სახე, „ქართული ორნამენტები“, „ირემი ტყეში“, „დედამიწის ნახევარსფეროების რუკა“ „გრადუსთა ბადე“ და სხვ, თელაზე გაცოცხლებული ჩუქურთმები. ამ ჩუქურთმების ავტორმა ასახელა მეხუთე რაზმი და გაახარა თანარაზმელები.

მალე ზაურმა ხევსურული ჩუქურთმებით დამშვენებული ჩარჩო დაამზადა. იგი მისი რაზმის ნორჩ ფენოლოგებს სჭირდებოდათ.

იმ დღეებში ფენოლოგებს ნორჩი ფიზიკოსები წამოეშველნენ და რუკა-მაძიებელი შეადგინეს. სწორედ ეს რუკა-მაძიებელი, რომელიც მაყვალა ჯანგირაშვილმა, გულო ფილაურმა და ქეთევან ქუცნაშვილმა შეადგინეს, ზაურის მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასვეს და იქვე, მის ხის ნაკეთობათა გვერდით დაკიდეს; მერე, როცა ბატარეაც ჩართეს, რუკაზე ნათურა აინთო და გაანათა ნახატი ია, რომელსაც ქვემოთ ეწერა: „წელს ნაადრევად, მარტში აყვავდა. შარშან კი გვიან“. შემდეგ ნათურები რიგრიგობით აინთო „ბაიაზე“, „ლამქარაზე“, „სამყურაზე“ და სხვა ყვავილებზე. ნათურასთან, მათი აყვავების დროის მაჩვენებელია. მეხუთერაზმელ ფენოლოგთა ნამუშევარზე მთელი სკოლა ალაპარაკდა. მათ სხვა რაზმებიდანაც შემოუერთდნენ და მეხუთერაზმელთა საკუთრება მთელი რაზმეულის საკუთრებად იქცა. ერთად აწარმოებენ დაკვირვებას აჰიხდზე, ყვავილოვან მცენარეებზე, ფრინველების მოფრენასა და პირველ დაძახილზე. რუკა გარკვევით უჩვენებს, რომ ერთი და იგივე პერიოდში, ტემპერატურის ჯამთა ნამატი არის სხვადასხვა და ჰყვავის სხვადასხვა მცენარე.

რუკაზე იარაჯულების ტყეც მონიშნეს ბავშვებმა. ისინი ხომ მთელი შემოდგომა ამ ტყის ყვავილებზე ახდენდნენ დაკვირვებას.

აინთება რუკაზე ნათურა, განათდება „შროშანა“, „ლამქარა“, „სამყურა“ და შეუცდომლად ჰყვებიან მათ უცნაურ ხასიათებზე მეხუთერაზმელები.

* * *

ამ სასწავლო წელს, პიონერთა ოთახში ერთი ლამაზი კარადა გაჩნდა. კარადა სოფელში განთქმულმა დურგალმა, ზაურ ფილაურის მამამ დაამზადა და შვილის ნამუშევრების პირდაპირ დადგა. ნივთები, რომელიც კარადის თაროებზე აწყვია, მხარეთმცოდნეობის მუზეუმსაც დაამშვენებდა. ამ შემოდგომაზე, ხოშელაში, მიწის თხრის დროს კოლმეურნეებმა ძველი ნივთები შენიშნეს; წამსვე იქ გაჩნდნენ ნათელა სუარაშვილი და მისი მეგობრები. ხის მოჩუქურთმებული დოქი ჩამოიტანეს ბავშვებმა, წარწერა გაუკეთეს და კარადის თაროზე შემოდგეს. შემდეგ, ჯიჯეთიდან გელა სულხანიშვილის ჩამოტანილი ექსპონატებიც მიემატა. მერე თაროებზე გაჩნდა ხევსურული ჯაჭვის პერანგის ნაწილები, სპილენძის ფიალა, ხევსურული თავსამკაული და ქალის სამაჯურები.

ასე ჩაეყარა საფუძველი სიძველეთა მუზეუმს რაზმეულში. მეხუთერაზმელებს სხვებიც აყვნენ და ერთ კარადას მალე მეორეც მიემატა.

საუკეთესო რაზმის სახელისათვის გამართული შეჯიბრების საინტერესო დღეების სამახსოვროდ დარჩება მეხუთერაზმელთა წამოწყება სკოლაში.

* * *

ყოჩაღი ბიჭია ღვთისო. ადრე ოქტომბრელებისათვის სათამაშოების თავმოყრით იყო გართული, წელს კი სულ სხვაა ღვთისოს გატაცება.

თავისი ჩანაფიქრი, სულ პირველად, ბესო მასწავლებელს გაანდო. ბესო მგელაშვილი ხელგარჯილობის წრის ხელმძღვანელია სკოლაში და ამიტომაც იყო, რომ რჩევისათვის მას მიაკითხა ღვთისომ.

— ალბომს ვამზადებთ, ალბომში ჩვენი რაიონის სოფლის, ჩვენი სკოლის სასახელო საქმეები იქნება ჩაწერილი. გვინდა განსაკუთრებული იყოს, — უთხრა ღვთისომ მასწავლებელს. ბესომაც რჩევა არ დააკლო.

ალბომს, რომელიც მეხუთერაზმელებმა თვითონ შეკრეს და დაამზადეს, ყდა ხისა ჰქონდა. ყდაზე სიონის წყალსაცავთან ერთად გუდამაყრისა და გორმაღალას მთები მოახატვინა ღვთისომ ზაურს.

— კომუნიზმი უნდა ვაშენოთ შრომით! — აწერია ალბომის თავფურცელს. სად არ ყოფილან ღვთისოსთან ერთად ნორჩი ფოტოკორესპონდენტები, ფირზე აღუბეჭდავთ მთელი ივრისპირეთი, რკინა-ბეტონის ხიდი იორზე, მზორეს კოლმეურნეობის ჯიშიანი ძროხების ნახირი, გორმაღალას შეფენილი ცხვრის ფარა, მეფრინველეობის ფერმა, სკოლა-ინტერნატის მშენებლობა ხევსურთ სოფელში, სასკოლო ნაკვეთზე კაკლის სანერგე, ზარიძეების სოფლისთვის ასე იშვიათი და ერთადერთი ვაზი მთელ სოფელში.

ალბომი ახლოდე ფურცელს ითვლის და ერთმანეთს მისდევს ფოტოფირზე აღბეჭდილი თიანეთელთა სასახელო საქმეები, მშობლიური სოფლის მიღწევები, მათი სკოლის პიონერთა წვლილი შრომით საქმიანობაში.

19 მაისს, პიონერული საყვირი რომ გორმაღალას მთებს გასძახებს და სტუმრებით აივსება თიანეთის ზარიძეების რვაწლიანი სკოლის დიდი ეზო, მეხუთერაზმელები ამაყად მოუყვებიან მათ თავიანთ სასახელო საქმეებზე.

ნ. ფაილოძე

ისინი საუკეთესო რაზმის სახელისათვის იბრძვიან

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოსო იორამაშვილი

# ორი ძმა

ზ ღ ა პ ა რ ი

იყო ორი ძმა: ერთი გიჟი და ერთი ჭკვიანი. ჭკვიანი სუსტი აგებულებისა იყო, მაგრამ ძალიან მოხერხებული და გულკეთილი, გიჟი კი — არაჩვეულებრივი ღონის პატრონი. გულკეთილობა არც მას აკლდა, მაგრამ რაკი ჭკუაზე ცოტა აფრაკად იყო, როცა გული მოუვიდოდა, მტყუანსა და მართალს აღარ არჩევდა და მაშინ ბოროტებაც გამოსდიოდა.

ერთხელ, ძმებმა აღარ ინდომეს ერთად ცხოვრება და გაიყარნენ. უღელი ხარი ჰყავდათ და გაიყვეს. ჭკვიანი ძმა ცალი ხარით შეუდგა მეურნეობას, გიჟმა კი გაიგდო თავისი ხარი და წაიყვანა გასაყიდად — ოღონდ არა სოფელში, არამედ ტყეში. დადიოდა, ყოველ თვალშიმოსავალ ხეს გამოელაპარაკებოდა, შეაძლევდა თავის ხარს მისაყიდად და, ხე რომ პასუხს არ გასცემდა, ჩაილაპარაკებდა თავისთვის: „არ გინდა და ნუ გინდა, ვაჭრობა ნებაყოფლობით არის, მე ძალას არ გატანო“, და ახლა სხვა ხეს მიადგებოდა. ბოლოს კლდეზე აიყვანა ხარი და ერთ ასკილს მიადგა:

— გამარჯობა, ძმობილო! ხარს ხომ არ იყიდი?

იმ დღეს ცოტა ქარი ქროდა და ასკილი ირხეოდა, გიჟს მოეჩვენა, ასკილი თანახმაა, რადგან თავს მიქნევსო, და სამი თუმანი დაუფასა. ასკილი ისევ თავს უქნევდა. გიჟმა ეს თანხმობის ნიშნად ჩათვალა და ხარი ასკილზე გამობა, ხოლო, რაკი ასკილმა ფული მაშინვე არ მისცა, იფიქრა, ალბათ, ახლა ფული არა აქვს და ხვალ მომცემსო.

„აბა, ხვალ შენს იმედზე ვარ, მოვალ და ფული მზად იყოსო“.

სახლში რომ დაბრუნდა და მოჰყვა, ხარი როგორ გაყიდა, ჭკვიან ძმას ელდა ეცა და უსაყვედურა. გიჟმა სრულიად მშვიდად უპასუხა: შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე ვერავინ დამჩაგრავს და ჩემს ფულსაც ვერავინ შეჭამსო.

ის ღამე ჭკვიანმა ბოღმით გაათენა. დილა რომ გათენდა, ადრიანად გააღვიძა ძმა და უთხრა: ადე, წადი, შენს მოვალეს ფული გამოართვიო. გიჟს ძილი ძალიან უყვარდა და ძმას გაუწყრა: შენ ის გირჩევნია, ძილს ნუ მიფრთხობ, ან რაღაში გაინტერესებს ჩემი ხარის ფული, შენ შენთვისა ცხოვრობ, მე ჩემთვის, გირჩევნია შენს ხარს მოუაროო.

როდესაც კარგად გამოიძინა, წავიდა გიჟი თავის მოვალესთან. ასკილზე მიბმული ხარი მგლებს შეეჭამათ და მარტო ძვლებიღა დახვდა. გიჟმა ფული სთხოვა, ასკილი არც განძრეულა, რადგან იმ დღეს ნიავიც კი არ იძვროდა. ამაზე გიჟს გული მოუვიდა და დაუშინა ასკილს უშველებელი, რკინისთავიანი კომბალი. იმდენი სცემა, სანამ ფესვებინად არ დახლიჩა.

ასკილი კლდეზე იყო ამოსული. კომბალი კლდეს მოხვდა, კარგა მოზრდილი ქვის ფიქალი მოემტვრა და ერთი, ოქროს ფულით სავსე ქილა გამოჩნდა. გიჟმა შეაჩერა ცემა და ახლა ლანძღვა დაუწყო:

—ახ, შე მატყუარავ, შე უნამუსოვ! აკი ფული არა მაქვსო?! მაშ ეს რა არის? ვის ატყუებდი? ხარი შეჭამე და ფულს აღარ მაძლევდი. — მერე ამოიღო სამი თუმანი, წამოვიდა და მიაძახა: ჩემი ფული ჯერ არვის შეუჭამია და არც შენ დაგეჩაგვრინები ასკილო!

სახლში რომ დაბრუნდა, ძმას უჩვენა ოქროს თუმნიანები, თანაც უამბო, როგორ გამოართვა ჯიუტ მოვალეს ფული და დასძინა, ერთი ქილა სულ სავსე აქვს ასეთი ოქროებითო.

ჭკვიანმა ძმამ რამდენჯერმე აამბობინა და ბოლოს მიხვდა, გიჟს ქილით სავსე ფული უპოვნია და არ წამოუღიაო. დაუწყო ხვეწნა, მასწავლე ის ადგილიო, მაგრამ გიჟი უარზე დადგა: მეზარება, ახლა იმ სიშორეზე რაღა წა-





ეროვნული ბიბლიოთეკა



მიყვანსო. ბოლოს, როგორც იქნა, დაეთანხმა და წაჰყვა უგულოდ. გზაში აფრთხილებდა: იცოდე, არაფერი დამსაქმო იქ, თორემ ერთი მაგრად მიგბეგვავო.

ოღონდ ფულით სავსე ქილამდე მიეყვანა და, ჭკვიანი ძმა ყველაფერზე დათანხმდა.

ოქროთი სავსე ქილა რომ დაინახა, ჭკვიან ძმას თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ გიჟმა ამოღების უფლება არ მისცა: როგორ შეიძლება! მაგისგან რაც მერგებოდა, პირნათლად მივიღე და თავის ოხერზე რას ვემართლებითო?!

ბოლოს ჭკვიანმა ხერხს მიმართა, დაუწყო ქება: ყური დამიგდე, ჩემო ჭკვიანო ძმაო, შენი ხარი ამ ფულის მესამედი მაინც ღირდა. წავიღოთ ეს ქილა სახლში, ჩემს ხარსაც ამ ასკილს ამოვუყვან, ერთი იმდენსაც მე ავიღებ და დანარჩენს ისევ აქ ამოვუტანო.

გიჟი დათანხმდა და ქილის წამოღების უფლება მისცა, მაგრამ ჭკვიანმა ძმამ ქილა ადგილიდანაც ვერ დაძრა. თანაც, უბედურობა ის იყო, შიშით ძმისათვის ვერ გაებედნა, მომეხმარეო, და დიდხანს ცოდვილობდა. გიჟი კი გულგრილად უყურებდა ძმის გაჭირვებას და თანაც უსაყვედურებდა: თუ მოგაქვს, წამოიღე, ამდენი ხანი ძილს მო- [illegible]

ბოლოს, მეტი ძალა რომ აღარ ჰქონდა, ჭკვიანმა დარიგებით მიმართა: აი, თუ აგრე გეჩქარება, მოდი მიშველე, წავიღოთ და სახლში მალე მივალთო.

გიჟმა ძმამ პირობა გაახსენა, ერთი წაუთაქა თავში, ქილა ამოიღლიავა და ძმას შეუტია: წამოეთერი მალე! მე შენ იმიტომ გაგეყარე, რომ სულ მე მამუშავებდი, და ახლაც არ მასვენებო?

სახლში რომ მიიტანეს ფული, ჭკვიანი ძმა ცდილობდა არავის გაეგო და ფულის გაყოფაც საიდუმლოდ უნდოდა, მაგრამ გიჟი არ დათანხმდა: ვერ მოგართვი! გინდა მომატყუო? მოვიყვანოთ მთავრობის კაცი და კანონიერად იმან გაგვიყოსო.

გიჟის ასეთ ახირებაზე კინაღამ ჭკვიანი ძმაც ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ რას გააწყობდა? გიჟმა კი თქვა და შეასრულა კიდეც: დაუძახა სოფლის ჩაფარს და უთხრა: აი, ეს ფული გაჰყავი სამ ნაწილადო.

ჭკვიანი ძმა ბოღმისაგან გაშრა, მაგრამ ვერაფერი გაბედა. ჩაფარი კი გამოცდილი იყო ქრთამების აღებაში. იფიქრა: ორი წილი ამ ძმებს, ერთ წილს კი, ალბათ, მე მაძლევენ, რომ არ გავამხილოო, და სიხარულით შეუდგა სამ ნაწილად გაყოფას. მაგრამ გიჟი სულ სხვას ფიქრობდა: ის მესამე წილი ასკილისთვის გასაგზავნად უნდოდა და, როდესაც ჩაფარმა ერთ მესამედს ხელი წამოავლო, გიჟმა იუარა; ჩაფარმა მთელი მდგომარეობა გაუთვალისწინა გიჟს და უთხრა: მე შემიძლია ამ ფულიდან თქვენ სულაც ცარიელები დაგსვათო, მაგრამ გიჟმა ბევრი ლაპარაკი არ იცოდა ასეთ დროს, გაბრაზებულმა თავისი კომბალი დასთხლიშა თავში და იქვე სული გააფრთხობინა.

ჭკვიან ძმას პირდაპირი საფრთხე ასცილდა, მაგრამ უარეს მდგომარეობაში ჩავარდა. ჯერ ის ვერ მოეხერხებინა, რომ ნაპოვნი ფულის ამბავი არავის გაეგო და ხათაბალაში არ გახვეულიყო. ახლა მის ძმას ხელმწიფის კაცი შემოაკვდა. ერთი გამოსავალი ჰქონდა: მკვდარი სადმე უნდა დაემალნა. ასეც მოიქცა. ერთი ცარიელი პურის ორმო ჰქონდათ. როდესაც დაღამდა, აჰკიდა მკვდარი თავის ძმას და იმ ორმოში ჩააგდებინა.

მეორე დღეს ჩაფარი რომ აღარსად გამოჩნდა, ძებნა დაუწყეს. მთელი სოფელი შეძრეს კითხვა-კითხვით და ჩვენს ნაცნობ ძმებსაც მიადგნენ. გიჟმა ყველაფერი სიმართლით უთხრა: ჩაფარი მე მოვკალი და ორმოში ჩავაგდეო.

ჭკვიანმა ძმამ გაიცინა და უთხრა მაძებრებს: მაგას ნურაფერს დაუჯერებთ, ბატონო, გიჟია, ჩვენ იმდენი ფული ვინ მოგვცა, რასაც ეგ ლაპარაკობსო. ოქრო კი არა, ერთი ხარი ერგო ჩემგან და ისიც მგლებს შეაჭამაო.

გიჟმა იწყინა ძმისაგან ასეთი დახასიათება, ერთი კარგისა წაუტიელა კისერში და უთხრა; გიჟი მე კი არა, შენა ხარ! აბა წამომყვნენ, ჯერ ის ასკილი ვაჩვენო, ვისაც ხარი მივყიდე და ფული გამოვართვი, მერე ჩაფარსაც ვაჩვენებო!

მაძებრები კი ეუბნებოდნენ, ჯერ ჩაფარი გვაჩვენე და მერე ასკილის დასათვალიერებლადაც წამოგვყვებითო, მაგრამ გიჟი გაჯიუტდა: არა, ვინც თავი არა ნახა, ბოლოც ვერ გაიგოო! ჯერ იქ წამომყევით და მერე ჩაფარსაც გაჩვენებთო!

ჭკვიანი ძმა განგებ იცინოდა და ცდილობდა თავი ისე მოეჩვენებინა მაძებრებისათვის, თითქოს მისი ძმა სისულელეს როშავდა.

მაძებრები მაინც დაინტერესდნენ და გაჰყვნენ გიჟს. ჭკვიანმა ნაძალადევი სიცილით გააცილა ისინი, მერე გამოტრიალდა, ერთი თხა დაახრჩო, იმ ორმოში ჩააგდო, რომელშიც ჩაფარი ჩააგდეს, ჩაფარს კი ორმოშივე გაუთხარა მიწა და საჩქაროდ ჩაფლა, რომ მაძებრებს არ მოესწროთ. ხოლო როცა ისინი დაბრუნდნენ, ისევ სიცილით შეეგება.

მაძებრებს მისთვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ და გიჟი ახლა ორმოში ჩაგზავნეს: აბა, ჩვენი ჩაფარი ამოგვიყვანეო.

გიჟი ჩადიოდა ორმოში, თანაც თავის ალალმართლობასა ტრაბახობდა: როგორც ის ასკილი გაჩვენეთ დაჟეჟილი, რომელმაც ჩემი მოტყუება მოინდომა, ახლავე იმ ჩაფარსაც გაჩვენებთ, ფული რომ უკანონოდ მიჰქონდაო.

ორმოში რომ ჩავიდა, სიბნელე იყო. ხელები მიაფათურ-მოაფათურა და თხას წააწყდა. კარგად გასინჯა — ნამდვილად რქები ესხა. ცოტა ხანს დაფიქრდა და შემდეგ მაძებრებს ამოსძახა: უკაცრავად, ერთი ეს მითხარით, თქვენს ჩაფარს რქები ესხა თუ არაო. ამასობაში



ეროვნული ბიბლიოთეკა



თხაც ამოათრია და გაკვირვებული დასცქეროდა.

ჭკვიანი გახარებული იცინოდა და მაძებრებსაც გაეცინათ, მაგრამ გიჟი ახლა, როცა თავის სიმართლე ვერ დაამტკიცა, სულ გადაირია. გაქანდა სახლში, მთელი ქილა ოქრო გამოიტანა და იყვირა: აი, თუ არა გჯერათ, თქვე ბრიყვებო, თქვენა! არც ახლა დაიჯერებთ, რომ მართალი ვარ?!

• • •

ჩაფრის ამბავიც რომ არ გამომჟღავნებულიყო, ჭკვიანმა წაიყვანა თავისი სულელი ძმა და უცხო მხარეში გადაიხვეწა. იქ ერთ მღვდელს მოჯამაგირეებად დაუდგნენ. მღვდელმა ახედ-დახედა ძმებს და საქმე ორივეს მათი უნარისდამიხედვით მიუჩინა. ჭკვიანი სახლში დაიტოვა ხელზე მოსამსახურედ, გიჟს კი თხა-ცხვრის ერთი მოზრდილი ფარა ჩააბარა და ამწყემსინებდა.

ერთხელ ფარას ტყისპირას აძოვებდა, ერთ ძირ მწიფე პანტას წააწყდა და იმ წუთში ზედ ავარდა. ახლო-მახლო ტოტებზე რაც ესხა, უცებ შეთქვლიფა, მაგრამ არ ეყო. განის ტოტებზე გასვლა კი სახიფათოდ მოეჩვენა და დაარხია პანტა, — ჩავალ და შევჭამო, მაგრამ ცხვრის ფარა მიუსია და რაც პანტა ცვიოდა, პირწმინდად ახრამუნებდა. გიჟი ძირს რომ ჩამოვიდა, გაბრაზდა, წამოავლო თავის კომბალს ხელი, დაერია „უსინდისო“ თხა-ცხვარს და მთელი ფარა ამოწყვიტა. მხოლოდ ერთ ჭოტა თხას მაღლიდან ჩამოვარდნილი პანტა რქაზე დაჰგებოდა, იმას მიეალერსა, აკოცა და რქიდან პანტა წააძრო. გმადლობ, ჭოტა! მარტო შენ შემინახე და შენ აღარ მოგკლავო.

საღამოს გამოიგდო ერთი თხა და წამოიყვანა სახლში. სოფელს რომ მოატანა, თხა გააჩერა და დაარიგა: აბა! სოფელში რომ შეხვალ, ისე უნდა დაიბღავლო, თითქოს მთელი ფარა მოდიოდეს, თორემ ცოცხალი ვერც შენ გადამირჩებიო.

მართლაც, მიუახლოვდა თუ არა თხა სოფლის საბძლებს, წაიგრძელა კისერი და გიჟმაც კომბალი მოიმარჯვა: აბა, შეასრულებს ჩემს დავალებას თუ არაო. თხამ საცოდავად დაიკიკინა და კომბალმაც თხლაშანი მოიღო მის თავზე. ეგ რა ფარის ბღავილია, აგრე ხომ მეც დავიკიკინებდიო! წამოავლო თხას ხელი გიჟმა და სახლში მიათრია.

მკვდარი თხა რომ დაუგდო წინ, ჭკვიან ძმას ელდა ეცა. როცა გიჟმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო, საწყალი ჭკვიანიც კინაღამ გაგიჟდა.

მღვდელი სხვა სოფელში იყო წასული და მეორე დილით უნდა დაბრუნებულიყო. ჭკვიანმა ძმამ გადაწყვიტა — მოდი, მოვზიდავ დახოცილ თხა-ცხვარს, ფარეხში დავყრი და კარებს გამოვკეტავ. მღვდელი რომ მოვა და ნახავს, იფიქრებს, რაღაც ავადმყოფობით თვითონვე დახოცილანო. ასეც მოიქცა. წაიყვანა გიჟი, მოიგდო ორი ცხვარი ზურგზე და გიჟს უთხრა, შენც ასე მოიქეციო.

გიჟს დაეზარა თითო-ოროლას თრევა და ძმას დაავარა: შენ ეგენი ჩაიტანე სახლში, დიდი საბელი თოკი წამომიღე და მე უფრო ბევრ-ბევრს წამოვიღებო. მართლაც, ჭკვიანმა ძმამ ამოუტანა საბელი, გიჟმა შეჰკრა რამდენიმე ათეული ცხვარი ერთად და მთელი ფარა სულ ოთხგზობაზე მიიტანა ფარეხში.

მეორე დღეს მღვდელი დაბრუნდა, ნახა, რომ ფარეხში მთელი თხა-ცხვარი გაწყვეტილიყო, მოჯამაგირეებზე ეჭვი ვერ მიიტანა და თავის ბედს იწყევლიდა.

ჭკვიანი ძმა შეშინებული იყო, ვაითუ გიჟმა წამოროშოს რამეო, და მღვდელს ანგარიში მოსთხოვა, რომ იქიდანაც გადაკარგულიყო.

მღვდელმა ანგარიში გაუსწორა ძმებს, დიდი ზარალი ვნახეო და, ჭკვიანს ცოტა ფული მისცა, გიჟს კი ერთი ხელი ლოგინი.

კაცმა რომ მართალი თქვას, მე უფრო მეტი მერგებოდა, ვიდრე ჩემ ძმას, რადგან მე უფრო მეტ საქმეს ვაკეთებდი შენს ოჯახში, მაგრამ მე ფული სულაც არ მაინტერესებს. რახან ეს ლოგინი მომეცი, ყველაფერზე ხელი ამიღიაო, — უთხრა მღვდელს გიჟმა.

ამ დროს ჭკვიანმა ძმამ თვალით ანიშნა, წასვლა დავაჩქაროთო, თანაც მღელვარებას ვეღარ მალავდა. გიჟს კი მოეჩვენა, ჩემი ძმა არ მეთანხმებაო, და შეუტია: მაშ, ტყუილია, შე დაბდურო, შენა! შენ ორს ძლივს მოაკინკილებდი, მე კი სამოცი მომქონდაო!

მღვდელმა ვერ გაიგო, ან ის ორი რა იყო და ან სამოცი, რადგან თავისი ცხვრების ჯავრით გული ჰქონდა გასიებული, და რა იცოდა, რომ გიჟიც სწორედ იმ ცხვრებზე ლაპარაკობდა.

სანამ მღვდლის არე-მარეს გასცილდებოდნენ, ჭკვიან ძმას სამი წლის სიცოცხლე დააკლდა მღელვარებითა და შიშით, გიჟს კი ზურგზე ლოგინი წამოეკიდნა და მისდევდა სტვენით.

• • •

მთელი დღე იარეს ძმებმა და ერთ ადგილას დაუღამდათ. საშინელი ცივი საღამო იყო. გიჟმა გაშალა ლოგინი და ჩაწვა არხეინად, ჭკვიანი კი საცოდავად კაკკავებდა. ბევრი ეხვეწა, მეც დამაწვინე ლოგინშიო, მაგრამ გიჟი გაჯიქდა: მე რომ მღვდლის ლოგინი ვათრიე, ახლა გაგათბოს შენმა ფულებმაო!

კარგად რომ აკავკავა სიცივით, მერე დაიწვინა ლოგინში, ერთი პირობით: აღარასოდეს გიჟი აღარ დამიძახო, რადგან მე შენზე უფრო ჭკვიანურად მოვიქცევი, და ამას იქით რაც გითხრა, ისიც დამიჯერეო. ძმას მეტი რა ძალა ჰქონდა და პირობა მისცა.

იმ ღამეს იქ ეძინათ. მეორე დილა რომ გათენდა, შორიდან ყვირილი შემოესმათ: ვისა გშიათ, ლობიოს შეჭამანდი ვის გიყვართო. ძმები მაშინვე მიხვდნენ, რომ მღვდლის ხმა იყო და ფეხზე წამოცვივდნენ.

მღვდელი რომ კომბლით დახოცილ თხა-ცხვარს კარგად დაჰკვირვებოდა, მიმხვდარიყო მოჯამაგირეების ოინს და გაბოროტებული დასდევნებოდა. ქოთნით ლობიოს შეჭამანდი წამოეღო, კითხვა-კითხვით მოსდევდათ კვალზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



თან ყვიროდა — ლობიო ვის გინდათო; იცოდა, რომ გიჟ ნამოჯამაგირალს ლობიო ძალიან უყვარდა და, თუ ძახილს გაგონებდა, აუცილებლად გამოეხმაურებოდა.

მართლაც, გაიგონა თუ არა გიჟმა მღვდლის ყვირილი, მაშინვე დაუძახა: აქ მომიტანე, ლობიოს შექამანდი მე მიყვარსო.

ბევრი ურჩია ჭკვიანმა ძმამ, გაჩერებულიყო და დამალვოდა მღვდელს, მაგრამ გიჟთან ვერაფერი გააწყო. ამასობაში მღვდელიც მოვარდა, ლობიოს ქოთანი ძირს დადგა და კბილების ღრჭიალით ემუქრებოდა.

წინ წადგა თუ არა ჭკვიანი ძმა, მღვდელი მაშინვე ეცა, და დაიწყეს ჭიდაობა. გიჟი კი დამშვიდებული მიუჯდა ლობიოს ქოთანს და დაუწყო მადიანად ჭამა. ძმისა და მღვდლის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას სულაც არ ამჩნევდა. ჭიდაობით ერთხელ რომ მიუახლოვდნენ მებრძოლნი, გიჟმა მაშინვე შეჰყვირა: აბა, ლობიო არ დამიქციოთ, თორემ შავ დღეს დაგაყენებთო.

ამ სიტყვებზე ჭკვიანმა ძმამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, მიაწვა მოწინააღმდეგეს და ლობიოს ქოთანს მიაწყვიტა. მაშინ წამოვარდა გაბრაზებული გიჟი, წაავლო თმაში ხელი მღვდელს და ისეთი შემოაწყვიტა ხეზე, რომ იქვე სული გააპნევინა.

• • •

ლობიოს ქოთანი რომ გამოცალეს ძმებმა, გზას გაუდგნენ და მკვდარი იქვე დატოვეს. რამდენიმე დღეს სულ ერთი მიმართულებით იარეს და ბოლოს ისეთ ადგილებში გავიდნენ, რომ ადამიანს იქ, კარგა ხანია ფეხი არ დაედგა. მხოლოდ ძველი საურმე გზები დარჩენილიყო. ეტყობოდა, ნამოსახლარი იყო, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო — სულ გაუკაცურებული.

ერთ დილას, მზემ რომ არე-მარე გაანათა, ძმებმა ერთ ძვირფასად მორთულ სასახლეს მოჰკრეს თვალი.

ჭკვიანი ძმა ფიქრობდა, მორიდებოდა სასახლეს და შორს მოევლო მისთვის, რადგან ეშინოდა, კიდევ რაიმე ფათერაკს არ გადაჰყროდა. გიჟმა რომ მისი განზრახვა გაიგო, პირიქით, უფრო დაინტერესდა. ახლოს მივიდნენ, კარმიდამოზე ძეხორციელი არავინ მოჩანდა და სასახლის კარებიც დაკეტილი აღმოჩნდა.

გიჟმა რამდენჯერმე გასძახა მასპინძელს და, რომ არავინ გამოეხმაურა, სასახლის უშველებელ რკინის კარებს წიხლი ჰკრა და შეაღო. ჭკვიანი ძმაც თან შეჰყვა და შევიდნენ ძვირფასად მორთულ დარბაზებში. წინ ერთი გაკვირვებული ახალგაზრდა ქალი შემოეყარათ, ისეთი ლამაზი იყო, — რომელ ოთახშიც შედიოდა — იქაურობას მზესავით ანათებდა. ძმები მიესალმნენ.

ბოლოს, უამბო ქალმა თავისი გაკვირვება ის სასახლე და ის მიდამო თურმე მის ცხრა ძმას ეკუთნოდა და მათი შიშით იმ მხარეზე ძირს ჭიანჭველას ვერ გაევლო და მაღლა ფრინველს ვერ გადაეფრინა. ძმები ავაზაკობით ირჩენდნენ თავს, დიდძალი ქონება შეეძინათ და სასახლეც სულ ოქრო-ვერცხლის ავეჯით შეემკოთ. ხალხი მათ ახლო-მახლო ვეღარა ბოგინობდა და შორს გადახვეწილიყო. ქალს ის უკვირდა, ჩვენი სასახლის კარებს ჩემი ცხრანივე ძმანი თუ არ მოაწვნენ, ისე არ იღება და შენ სადა გაქვს მაგოდენი ღონე, რომ მარტო ერთმა გააღე წიხლის კვრითო! ბოლოს ურჩია მოსულთ, რომ მის ძმებს მაინც მორიდებოდნენ, უცებ მოსულებს არ დაეხოცათ ისინი.

გიჟს გაეცინა და უთხრა: როგორ გეკადრება, ქალბატონო, შენი ცხრა ძმისოდენი ძალა ერთ მუხლში მაქვს და მე იმათ რად უნდა დავემალო, თუ ამ კარების გაღება შევძელი, მათ დახვედრასაც მოვახერხებთო.

შუადღემ რომ მოატანა, ავაზაკებიც გამოჩნდნენ. სანადიროდ ყოფილიყვნენ წასულნი და თითო შველს მოათრევდნენ. სახლის კარი რომ ღიად დაინახეს, გაკვირდნენ და ფეხს აუჩქარეს. მაგრამ გაკვირვება მაშინ იყო, როცა სახლში შევიდნენ და სრულიად უბრალოდ ჩაცმული სტუმრები ისე კადნიერად დახვდნენ.

ჭკვიან ძმას კიდევ შიშმა სძლია და მოკრძალებით მიესალმა მოსულთ, მაგრამ გიჟი არხეინად წამოწოლილიყო ძვირფას ფარჩაგამოკრულ ლოგინზე. ვინც მოვიდეს გაუმარჯოსო! — არხეინად მიაძახა — ადგილიდანაც არ დაძრულა.

ავაზაკები შიშმა შეიპყრო. სასახლის კარის გაღება რომ გაითვალისწინეს და მის კადნიერებასაც თავიანთი თვალით უყურებდნენ, იფიქრეს: ჩვენ ამასთან არაფერი გაგვივაო, და ტკბილად გამოჰკითხეს ტახტზე წამოწოლილ გიჟ სტუმარს მოსვლის მიზეზი.

გიჟმა აქაც ყოველგვარ მიკიბ-მოკიბვის გარეშე უპასუხა: გზად მოვდიოდით, თქვენი სახლის დათვალიერება მოგვინდა, მაგრამ, აქ რომ მოვედით, თქვენი და უფრო მოგვეწონა და, თუ არ გეწყინებათ, ჩემს ძმას უნდა შევრთო ცოლადო. მაშინღა შეხედეს შიშით ფერწასულ სასიძოს, რომელიც იქვე იდგა და საცოდავად კანკალებდა ძმის გაბედული ლაპარაკის გამო.

ავაზაკებს არ მოეწონათ მისი დაჩიავებული ძმა, თვითონ გიჟი უფრო მოსწონდათ სასიძოდ, მაგრამ გიჟმა შორს დაიჭირა.

ავაზაკებმა შეკამათება ვეღარ გაუბედეს, უფრო არ გავაბრაზოთო. ოღონდ მოყვრობა რომ აეცილებინათ, შემდეგი პირობა წაუყენეს: — ძალიან პატიოსანი! ჩვენს ახლო-მახლო ჩვენი შიშით ვეღარავითარი სულდგმული ვეღარ დადგა საცხოვრებლად, მხოლოდ თავმოყვარეობა ერთმა გარეულმა ღორმა შეგვილახა: წელს ჩვენს სანავარდო ჭალაში ბუნაგი გაუკეთებია და ორ გოჭსა ზრდის. თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სასიძო იმ გოჭებს აქ მოგვიყვანს, ჩვენი დაც მასზე ალალი იყოს — კარგ ქორწილსაც გადავუხდითო.

გიჟს ასეთი პირობა კანონიერად მოეჩვენა, მაგრამ თავისი ძმის იმედი არა ჰქონდა და უთხრა: თქვენს შელახულ თავმოყვარეობას მე აღვადგენ. იმ გოჭებს ორივეს აქ მოგგვრით, ოღონდ საქორწინოდ გამზადებულ ძმას ახლა სანადიროდ ნუ გამაგზავნინებთო.

ავაზაკები დათანხმდნენ. იფიქრეს: ამას იქ გარეული ღორი გაგლეჯს და, რაკი ამისი შიში აღარ გვექნება, „საქორწინო ძმას“ სულ კინწისკვრით გავაგდებთო.

ასწავლეს ის ჭალა, სადაც გარეულ ღორს ბუნაგი ჰქონდა, და გაისტუმრეს. ბევრი ძებნა არ დასჭირვებია, ბუნაგს მალე მიაგნო, შიგ ორი გოჭი იწვა და ღრუტუნებდა. თითო თვის გოჭები თითო წლის ზაქის ოდენები იყვნენ. დედაღორი საჭმელად იყო წასული. გიჟმა გოჭები თავისუფლად დაიჭირა, ამოიჩარა აქეთ-იქით იღლიებში და გამოუდგა გზას. ხოლო დედაღორს გოჭების ჭყვირილი გაეგონა და ისე მოქშუოდა, — მის ნაკვალევზე მთელი ჭალა ირხეოდა.

გიჟს რომ ეს ღრიანცელი შემოესმა, შედგა მშვიდად და ხმაურს ყური მიუგდო. ის ხმაური თანდათან ახლოვდებოდა და ბოლოს ჯაგებიდან კამეჩისოდენა ქაფმორეული ღორი გამოჩნდა. დედაღორი პირდაპირ გამოექანა, მაგრამ გიჟი არ დაბნეულა: ორივე გოჭი პირში მიაგება, თან ისკუპა და ზედ ზურგზე მოექცა. მერე შემოხვია ორივე ხელი, ასწია მაღლა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიწაზე დაანარცხა. სანამ ღორი გარეტიანებული და გაბრუებული ეგდო, გიჟმა მოგლიჯა მაჯის სიმსხო წკნელები, მოგრიხა, შეუკრა ფეხები მაგრად და წამოიგდო ზურგზე. ასე რომ, გოჭებიც ღრუტუნით თან წამოჰყვნენ თავიანთ დედას.

ღორი რომ მოსულიერდა, ისეთი ჭყვირილი და ალიაქოთი ატეხა გიჟის ზურგზე, რომ მთელი არე-მარე ზანზარებდა. ავაზაკების სასახლესთან რომ მიიტანა ეს უჩვეულო ტვირთი, ყველანი წინ შემოეგებნენ და ყურებზე ხელებს იფარებდნენ. გიჟმა დააგდო ღორი და შესძახა: აჰა, მძახლებო! თქვენ მარტო გოჭები მთხოვეთ და მე დედაღორიც აქ მოგგვარეთო.

ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ მოყვრის ვაჟკაცობით და ახლა უფრო უნდოდათ, მათი და სწორედ მას შეერთო და არა მის ძმას, რომელიც გიჟის მოლოდინში შიშისაგან მუშტისოდენად ქცეულიყო. მაგრამ რას გაუბედავდნენ, როცა ერთხელ უკვე აკრძალული ჰქონდათ ამ საგანზე ლაპარაკი.

შუა ძილში რომ იყო გიჟი, ტირილის ხმა შემოესმა და ფეხზე წამოხტა, მიიხედ-მოიხედა, გარშემო არავინ იყო და, რადგან ტირილი გარედან მოისმოდა, ამბის შესატყობად გავიდა. მისი ძმა და სარძლო იმ თავლის სარკმელთან იდგნენ, სადაც ღორი ემწყვდია. ქალი თმაგაშლილი წიოკობდა.

გიჟიც უმალ იქ გაჩნდა. სარკმელში რომ შეიხედა, თვალწინ შემდეგი სურათი წამოუდგა: გარეულ ღორს მის დასაკლავად შესული ცხრავე ავაზაკი ეშვით დაეფლითა და პირზე ქაფმორეული გლეჯდა.

გიჟმა რომ ეს სურათი ნახა, დაღონებული გამოტრიალდა, თავისი რკინისთავიანი კომბალი ახლაღა გაახსენდა სასახლის კარებთან რომ ეყუდა. შეიარაღებულმა შეაღო თავლის კარი და დინჯად შევიდა. ღორი ახლა მისკენ გამოქანდა, მაგრამ გიჟმა ისეთი მოხერხებულად შემოჰკრა კომბალი, — კამეჩისოდენა გარეული ღორი ძირს კიტრივით გააგორა.

იმავე დღეს მიცვალებულები დაასაფლავა გიჟმა და რამდენადაც შეიძლებოდა, ცხრა ძმის ჭირისუფალი. საპატარძლოც დაამშვიდა. შემდეგ ღორი აჩეხა, ჩაამარილა და უგულო ქორწილიც გადაუხადა ძმას.

როცა კარგა გამოიძინა, მეორე დღეს ძმასა და რძალს გამოეთხოვა და წავიდა თავისი გზით. თავისი კომბალი კი ძმას დაუტოვა და უთხრა: ეს კომბალი, თუ ბიჭი გეყოლოთ, ბიძისეულად მიეცით და გამოადგებაო.

ბევრს ეხვეწნენ: ან შენც აქ დარჩი, ან ჩვენც თან წაგვიყვანეო, მაგრამ არც ერთზე დათანხმდა და არც მეორეზე. ოღონდ შეჰპირდა: თუ არ მოვკვდი, კიდევ გნახავთო — და წავიდა.

**ნახ. დიმიტრი ხახუტაშვილისა**






## მ უ რ ყ ა ნ ი

დასავლეთ საქართველოში, გურიაში, სხვა, ძვირფას მცენარეებთან შედარებით, სრულებით არ გვიყვარდა ერთ-ერთი ჯიშის ხე, რომელსაც იქ თხემლას, იმერეთში — თხმელას, ხოლო ქართლ-კახეთსა და ლიტერატურაში მურყანს ეძახიან.

არ გვიყვარდა ეს ხე იმიტომ, რომ მას არც შესახედაობა და არც სურნელება ჰქონდა მაინცდამაინც მოსაწონი. მურყანი ჭაობიანი ადგილების მოყვარულია და მის ტოტებქვეშ ნიადაგი მუდამ ნოტიოა. ამიტომ, ჩამოცვენილი ფოთლები ნეშომპალად იქცეოდა, შმორის სუნი ასდიოდა და ათასგვარი კოღო-ბუზი ეხვეოდა.

ხალხში ამბობდნენ, მურყანი ციების გამავრცელებელიაო. გურული გლეხკაცი მის ტოტებს სარობავად იყენებდა, მაგრამ აქაც არ აქებდნენ, რადგან მურყნის ღობეს შქერისა და იელის ღობე სჯობდა გამძლეობითაც და სილამაზითაც.

ერთი მცირე სარგებლობა ის იყო: ეზოებში ამ ხეზე იზაბელას ჯიშის ვაზს უშვებდნენ, რომელიც ყურძნის უზარმაზარ მტევნებს დაისხამდა ხოლმე.

შემდეგში, როცა მურყნის გამოყენებას ადამიანმა ცოდნის საფუძველზე მოჰკიდა ხელი, იგი ბევრ რამეში აღმოჩნდა გამოსადეგი.

მურყნის მოწითალო ფერის მერქანი მჩატეა და რბილი, წყალში სხვაზე უფრო დიდხანს ძლებს. მისგან ამზადებენ ღარებს, ყუთებს, საუკეთესო ხარისხის ქაღალდს, გამოიყენება სახარატო და სადურგლო საქმეებშიც. მურყნის გირჩებისაგან ლებულობენ კუჭ-ნაწლავების სნეულებათა განმკურნავ ნაყენს. ამ ხის ქერქი შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს და გამოიყენება სამღებრო საქმეში.

საქართველოში მურყნის სამი სახეობა გვხვდება. აქედან ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ეგრეთ წოდებული ჩვეულებრივი მურყანი.

ტყუილად როდი ამბობენ: უსარგებლო მცენარე არ არსებობს, დიდებულ მუხასთან ერთად, უბრალო ბუჩქსაც დიდი მნიშვნელობა აქვსო.

**ანა ნემსაძე**

რამდენიმე ხნის წინათ, საკავშირო პიონერულ ბანაკ არტეკში საბჭოთა პიონერები შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიელ და ბელგიელ პიონერებს და მოაწყვეს პრესკონფერენცია.

პრესკონფერენციაზე, რომელიც ნორჩმა კორესპონდენტებმა გახსნეს, ნათქვამი იყო: დედამიწაზე მშვიდობა სწყურიათ და ჩვენთვის სასარგებლო იქნებოდა, რაც შეიძლება მეტი გვცოდნოდა ერთმანეთის შესახებ. აი, ჩვენ თავი შევიყარეთ იმაზე სასაუბროდ, თუ როგორ ცხოვრობენ და სწავლობენ ბავშვები სხვადასხვა ქვეყნებში

ნორჩი კორესპონდენტი: რა ასაკში იწყებენ ბავშვები თქვენში სწავლას?

ბელგიელი პიონერი: ექვსი წლიდან. ეს ჩვენი პირველდაწყებითი სკოლაა.

ჩეხოსლოვაკიელი პიონერი: ჩვენშიც ექვსი წლიდან ვიწყებთ სწავლას. ჯერ ცხრაწლედში შევდივართ. მაგრამ გვაქვს თორმეტწლიანი სრული საშუალო სკოლებიც. ვინც თორმეტწლიან სკოლას ამთავრებს, უნივერსიტეტში შესვლის უფლება ეძლევა, ცხრაწლედდამთავრებულებს კი მხოლოდ ტექნიკურ სასწავლებლებში შეუძლიათ სწავლის გაგრძელება.

ნორჩი კორესპონდენტი: წარმატების ნიშნები როგორია თქვენში? უმაღლესი ნიშანი ჩვენში —ხუთიანია, ხოლო უმდაბლესი — ერთიანი.

ჩეხოსლოვაკიელი პიონერი: ჩვენი უმაღლესი ნიშანი — ერთიანია. ორიანი — სასიქადულოა, სამიანი — კარგი, ოთხიანი — დამაკმაყოფილებელი, ხუთიანი კი — ცუდი, არადამაკმაყოფილებელი ნიშანია ჩვენში.

ჩვენ ყველანი იმასა ვცდილობთ, — ერთიანებზე ვისწავლოთ! (სიცილი).

ბელგიელი პიონერი: ჩვენში კი უმაღლესი ნიშანი — ათიანია, უმდაბლესი — ნოლი. წლის განმავლობაში მოსწავლემ ასი ბალი უნდა მოაგროვოს. სიმართლე რომ ითქვას, ასს ვერავინ აგროვებს, კლასიდან კლასში გადასაყვანად სამოცი ბალია საკმარისი.

ნორჩი კორესპონდენტი: შესვენებაზე რას აკეთებთ?

ბელგიელი პიონერი: ვსაუბრობთ, ვინც ნოლები მიიღო — ტირის.

ჩეხოსლოვაკიელი პიონერი: ჩვენ სხვადასხვა ხანგრძლივობის შესვენებები გვაქვს: ხუთწუთიანი, ათწუთიანი და ოცდახუთწუთიანი. ხუთწუთიან შესვენებაზე შემდეგი გაკვეთილისათვის ვემზადებით, წიგნებს და რვეულებს ამოვიღებთ და წინ დავიწყობთ ხოლმე. ათწუთიან შესვენებებზე — ფიზიკურ ვარჯიშს ვეწევით (დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ). ოცდახუთწუთიან შესვენებებზე კი ვსაუზმობთ და დასვენებას ვასწრებთ.

ნორჩი კორესპონდენტი: სავალდებულოა თუ არა თქვენში სწავლა-განათლება?

ბელგიელი პიონერი: დიახ, თექვსმეტ წლამდე სავალდებულოა. ამ ხნის მანძილზე პირველდაწყებითი სკოლისა და ლიცეის ნახევრის დამთავრებას ვასწრებთ. ამის მერე ვისაც როგორ სურს: უნდა — განაგრძობს სწავლას, უნდა — არა.

ჩეხოსლოვაკიელი პიონერი: ჩვენში კი ახლა ცხრაწლიანი სავალდებულო სწავლებაა შემოღებული. მალე თორმეტწლიანი სწავლებაც სავალდებულო იქნება.

ნორჩი კორესპონდენტი: საბჭოთა კავშირში სწავლება უფასოა, ინსტიტუტებში კი სტუდენტები სტიპენდიებს იღებენ. თქვენში როგორღაა?

ბელგიელი პიონერი: პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება ჩვენშიაც უფასოა, ლიცეიში კი ფულს ვიხდით, წელიწადში, დაახლოებით, 50 მანეთს, ოქვენ ახალს ფულზე რომ ვიან-

---

რედაქციაში ხშირად მოდის წერილები, სადაც ბავშვები წაკითხული წიგნების შესახებ მოგვითხრობენ, გვიზიარებენ თავიანთ აზრს ამა თუ იმ მწერლებზე, ნაწარმოების გმირზე. ბავშვებს ძალზე იტაცებთ სათავგადასავლო ნაწარმოებები და ეს არც არის გასაკვირი; უყვართ მოთხრობები გმირებზე, გამოჩენილ ადამიანებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, წერილებშივე იგრძნობა, რომ ზოგიერთ ჩვენს პიონერს კარგად არ ესმის წიგნის მნიშვნელობა, ვერ არჩევს მისი ასაკის შესაფერის ნაწარმოებებს, კითხულობს გულდაუდებლად, ზერელედ, აინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ ამბავი, არ აქცევს ყურადღებას მოქმედ გმირებს, მათ ხასიათსა და თვისებებს, ნაწარმოების ენას და, ასე გასინჯეთ, ზოგიერთი წაკითხული ნაწარმოების ავტორსაც კი ვერ ასახელებს სწორად.

და აი, რედაქციის დავალებით, გადავწყვიტე დამეწერა იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს წიგნს მოსწავლის ცხოვრებაში, მის განათლებასა თუ გონებრივ ზრდა-ჩამოყალიბებაში და, საერთოდ იმაზე, თუ როგორ უნდა იკითხოთ წიგნი.



ვიფიქრე, სჯობს თვით წერილების ავტორებს — პიონერებს გავესაუბრები - მეთქი, და თბილისის ერთი სკოლის ბიბლიოთეკაში შევიარე.

გაკვეთილები დამთავრებული იყო. ბავშვები მოზრდილ მაგიდას უსხდნენ და ჟურნალ-გაზეთებს ათვალიერებდნენ. გვერდით მივუჯექი, რამდენიმე კითხვა დავუსვი და მალე გულითადი საუბარი გაიმართა.

მეხუთეკლასელ ლევან ანთაძეს გასულ ზაფხულს ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია" წაუკითხავს, აღფრთოვანებული ყვებოდა კრასნოდონის ახალგაზრდა გმირებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიშოთ. ამის გარდა, სასკოლო ნივთების ყიდვა გვიხდება, რაც ჩვენში საკმაოდ ძვირი ღირს. რვეული, მაგალითად,, იმდენი ღირს, რომ მისი საფასურით ოთხ კილოგრამ კარტოფილს, ან შოკოლადის ფილას იყიდის ადამიანი. თუნდა კინოთეატრში შევა რვეულის საფასურით.

უნივერსიტეტში სწავლის წლიური გადასახადი 200 მანეთია. მუშათა შვილებს ამისი შესაძლებლობა არა აქვთ.

*ჩეხოსლოვაკიელი პიონერი*: ჩვენში სწავლის გადასახადს არ ვიხდით. ჩეხოსლოვაკია პირველი რესპუბლიკაა მთელ მსოფლიოში, სადაც ბავშვებს სკოლებში ყველაფერი უფასოდ ეძლევათ — წიგნები, რვეულები, ფანქრები. (ყველანი ტაშს უკრავენ).

ყოველი სტუდენტი უკლებლივ სტიპენდიას იღებს. დაახლოებით სამას ოცი კრონის რაოდენობით. საუკეთესო სტუდენტებს — გაძლიერებული სტიპენდიები ეძლევათ.

*ნორჩი კორესპონდენტი*: რელიგიასთან თუ აქვს კავშირი თქვენს სკოლებს?

*ბელგიელი პიონერი*: ყოველ, თვით არაკათოლიკურ სკოლაშიც კი ასწავლიან ღვთისმეტყველებას. სპეციალურ კათოლიკურ სკოლებში ხომ, რაღა თქმა უნდა.

*ჩეხოსლოვაკიელი პიონერი*: ომამდე ჩვენში ბევრი სკოლა იყო, სადაც ღვთისმეტყველებას ასწავლიდნენ. სკოლა ომის წინ ჩამოაშორეს ეკლესიას და ახლა სასაცილო იქნებოდა, ღვთისმეტყველება გვესწავლა, როცა ჩეხოსლოვაკიაში კომუნიზმს ვაშენებთ!

*ჩეხოსლოვაკიელი პიონერების ხელმძღვანელი*: — ჩვენ ღმერთის დახმარების გარეშეც კარგად მივდივართ წინ და წარმატებებს ვაღწევთ. (სიცილი. ყველანი ტაშს უკრავენ).

*ნორჩი კორესპონდენტი*: გაკვეთილების შემდეგ ჩვენ საშუალება გვაქვს წავიდეთ პიონერთა სასახლეში, ნორჩ ტექნიკოსთა და ნორჩ ნატურალისტთა სადგურებში, სპორტულ სკოლებში. ყველაფერი ეს უფასოდაა. თითქმის ყოველ კლასსა და ეზოში საბავშვო დრამწრეებია. ზაფხულობით ბანაკად მივემგზავრებით. გვაქვს საბავშვო კინოთეატრები და საბავშვო ფილმებს მოზრდილთა ბევრ კინო-თეატრებშიც უჩვენებენ.

მოსკოვში გვაქვს საბავშვო თეატრები. ყველა მოზრდილთა თეატრი საბავშვო სპექტაკლებსაც დგამს. ყველა, ასე თუ ისე მნიშვნელოვან ქალაქში — საბავშვო თეატრია.

პიონერთა ახალ სასახლეში პირველი ბავშვთა სიმფონიური ორკესტრი ჩამოყალიბდა. მას დიდი თეატრის, ტელეხედვის და რადიოს მუსიკოსები მეფობენ. თქვენ როგორღა ერთობით?

*ჩეხოსლოვაკიელი პიონერი* — ჩვენთანაც, ჩეხოსლოვაკიაშიც, ბავშვების ცხოვრება ისეთივეა, როგორიც საბჭოთა კავშირში. ერთს დავუმატებთ: ამ ზაფხულს, ქალაქ ოპავაში 2000 პიონერი შეხვდა პრეზიდენტ ა. ნოვოტნის. პარტია და მთავრობა თვალყურს გვადევნებენ და ჩვენი საქმეების კურსში არიან.



*ჩეხოსლოვაკელ პიონერთა ხელმძღვანელი*: —პრეზიდენტმა ნოვოტნიმ სკკპ №XII ყრილობაზე განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის პარტია და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დღევანდელმა ახალთაობამ კომუნიზმში იცხოვროს.

*ბელგიელი პიონერი*: — ჩვენში მშობლებს, რომელთაც ბევრი ფული აქვთ, შეუძლიათ დასასვენებლად თავიანთი ბავშვებიც წაიყვანონ. მუშა-მოსამსახურეთა შვილები კი ხშირად ზაფხულობით ქალაქად რჩებიან.

მთელ ბელგიაში სამი პიონერული ბანაკია და ყოველ მათგანში 100 ბავშვი ისვენებს. ბელგიელი პიონერები დიდი სიამოვნებით თანხმდებიან მეგობრულ მიწვევებზე დემოკრატიულ ქვეყნებში.

*ნორჩი კორესპონდენტი*: — მოსკოვის პიონერთა სასახლეს ერთ დღეს 6 ათასი პიონერი შეუძლია მიიღოს. ეს ორჯერ მეტია არტეკის ყველა პიონერულ ბანაკზე. ხოლო, როცა სასახლის მშენებლობას სულ დაამთავრებენ, იგი 15 ათას პიონერს დაიტევს.

მოსკოვის პიონერთა სასახლე — კომუნისტურმა პარტიამ და კომკავშირმა გვიძღვნა პიონერული ორგანიზაციის 40 წლის თავზე.

*პრესკონფერენციის თავმჯდომარე*: მადლობა ყველა ბელგიელ და ჩეხოსლოვაკიელ პიონერს, რომელთაც პრესკონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა. ვიმედოვნებთ, კვლავაც არაერთხელ შევხვდებით.

დიდი, დიდი მადლობა ყველას!

---

ვანო თვარაძემ ამაყად განაცხადა: ჩემი ყველაზე საყვარელი მწერალი ჟიულ-ვერნია, ყველა მისი ნაწარმოები წაკითხული მაქვსო.

ეთერ ომანიძე პოეზიის მოყვარული აღმოჩნდა, სულ ზეპირად იცოდა აკაკისა და ვაჟას ლექსები...

ზაზა ჭედიას მაინ რიდის „უთავო მხედარი" ერთი ათჯერ ჰქონდა წაკითხული.

— ყოჩაღები ყოფილხართ, — ვერ დავმალე აღფრთოვანება, — კარგია, რომ ამდენს კითხულობთ და თანაც წაკითხული კარგად გახსოვთ-მეთქი.

— ჩვენ რა ნაკითხები ვართ! — წამოიძახა ჟიულ ვერნის მოტრფიალე ლევანმა, — აი, ჩვენ კლასში ერთი ბიჭია, სანდრო... აბა, ის უნდა ნახოთ, ასობით წიგნი აქვს წაკითხული.

— იცით რა სწრაფად კითხულობს? — ჩაერია საუბარში ეთერი, — თვეში ოცი წიგნის წაკითხვას ასწრებს.

ამ საუბარში რომ ვიყავით კარში ქერათმიანი ბიჭი გამოჩნდა.

—აი, ისიც! — ახმაურდნენ ბავშვები, — სანდრო, სანდრო, მოდი, რედაქციიდან არიან...

სანდრო ამაყად შემოვიდა ოთახში, მოგვესალმა და



ბიბლიოთეკარს რამდენიმე წიგნი დაუდო წინ.

— რაო, უკვე წაიკითხე? — ჰკითხა გაოცებულმა ბიბლიოთეკარმა.

სანდრომ მხრები აიჩეჩა, ვითომდა აქ რაა გასაკვირიო.

— აი, ხომ ხედავთ! გუშინ წაიღო „ბაშიაჩუკი" და დღეს უკანვე დააბრუნა, — წამჩურჩულა ერთმა.

— რა გაგატანო? — დაიწყო წიგნებში ქექვა ბიბლიოთეკარმა და ბოლოს რამდენიმე წიგნი დაუდო წინ. სანდრომ ალმაცერად გადახედა ყდაგამცვდარ წიგნებს, დასწვდა, გადაშალა ერთი, მეორე, მესამე და ყველა განზე გადადო, — წაკითხული მაქვსო.

ბიბლიოთეკარმა კიდევ რამდენიმე წიგნი გადმოიღო

თაროდან. სანდრომ, როგორც იქნა, აირჩია ერთი და ჩვენსკენ გამოემართა.

წიგნი ხელიდან გამოვართვი, „დავით აღმაშენებელი“, ტომი II, — ეწერა ყდაზე.

შეკითხვა არ მაცალა.

— პირველი ტომი ხელზეა, ჯერ ამას წავიკითხავ.

— შენზე ამბობენ, ძალიან ნაკითხი ბიჭიაო, — მივმართე.

— არც თუ ისე, — მიპასუხა ნაძალადევი მოკრძალებით, — მაგრამ იცით, წიგნის გარეშე სულ ვერ ვძლებ.

— მოგეწონა ბაში-აჩუკი?“

— ძალიან.

— მაინც, რომელი ადგილი უფრო მოგწონს?

— რომელი? აი, ის— გაბრიელი რომ ტყეში ხვდება...

— გაბრიელი? გაბრიელი თუ აბდუშაჰილი? გაბრიელი ხომ „გლახის ნაამბობშია“... — ველარ მოითმინა თინამ, მაგრამ აზრის დამთავრება არ აცალეს.

— მე კი ყველაზე უფრო ის ადგილი მომწონს, ბაში-აჩუკი რომ ჭიდაობაში ამარცხებს აბდუშაჰილს, — თქვა ვანომ.

— რომელი ჭიდაობა? — გაოცდა სანდრო და დაბნეული მზერა მომაპყრო.

— როგორ თუ რომელი! ზურგზე რომ მოიგდებს და...

— ოჰ, ალბათ, ეგ ადგილი გამორჩა, რაღაც არ მახსოვს, — წაიბუზღუნა უკვე საკმაოდ დაბნეულმა.

ბავშვები გაოცებული შესცქეროდნენ „მწიგნობარს“.

მე კიდევ რამდენიმე კითხვა დავუსვი. სანდრო მპასუხობდა, მაგრამ, ვაი, იმ პასუხებს! კაპიტანი ნემო აფრიკის შემსწავლელ ლივინგსტონად გაასაღა; „აჩრდილი“ აკაკი წერეთლის კალამს მიაწერა; ონისე ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ გმირიაო, — თქვა; ხოლო „უთავო მხედარში“ ავსტრალიაა აღწერილიო.

ისე უმოწყალოდ ურევდა ერთმანეთში ავტორებს და გმირებს, ისეთი ქაოსი უტრიალებდა თავში, რომ მეც ველარ გავართვი თავი და შეკითხვები შევწყვიტე.

სანდრო კი გაოგნებული იდგა და ჭირის ოფლს იწმენდდა შუბლიდან.

თვალწინ წარმომიდგა როგორ კითხულობს ამდენ წიგნს ეს ბიჭი. ალბათ, გადაშლის ერთ ფურცელს, წაიკითხავს რამდენიმე სტრიქონს, დაათვალიერებს სურათებს, მერე დასასრულს წაიკითხავს — ნეტავ როგორ თავდებაო და, ჰერი... წიგნს გვერდზე გადადებს.




იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თუ რამდენად მიზანშეწონილია მეექვსეკლასელისათვის „დავით აღმაშენებლის“ კითხვა, ჯერ არავისაგან მსმენია ტეტრალოგიის კითხვა მეორე ტომიდან დაეწყოს კაცს.

ცხადია, რომ ასეთი კითხვის შემდეგ სანდროს თავში არაფერი რჩება, ამიტომაა, რომ ასე ულმობლად ურევს ერთმანეთში ყველაფერს, ამიტომაა, რომ მის აზრს კონკრეტულობა და თანმიმდევრობა აკლია.

და მე, იმის ნაცვლად, რომ წიგნის მნიშვნელობაზე, მის დადებით როლზე, კითხვის კანონ-ჩვევებზე დამეწერა წერილი, ავდექი და იმაზე გიამბეთ თუ რაოდენ უაზრო და საზიანოა, რაოდენ მავნებელია და დროის უქმი დაკარგვაა ისე უსისტემოდ და ზერელედ კითხვა, როგორც ამას სანდრო აკეთებს.

ზურაბ ლეშკაშელი

ნახატები ედუარდ ამბოკაძისა

## ტექნიკის სიახლენი

### ხმაური და კვამლი

დღე-ღამ ბოლავენ ქარხნების საკვამურები და ჭვარტლით ფარავენ გარემოს. დღე და ღამ იკვამლებიან ავტობუსები, ავტომობილები, თბომავლები... ნაგვიანდება ჰაერი და, თან მუქთად იკარგება მილიონობით ტონა საწვავი. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ძალზე ძნელდება სრული წვის მიღწევა, უფრო სწორედ, წვის დროს მთელი საწვავი არ იწვის და ის არის სწორედ კვამლის სახით რომ ეფინება გარემოს.

ათასი რამ მოიგონეს მეცნიერებმა, რა არ სცადეს, მაგრამ საკვამურიდან კვამლი კვლავ ძველებურად იფრქვევა და ანაგვიანებს გარემოს.

ახლახან, ორმა უნგრელმა გამომგონებელმა გრეგუშმა და ლიპოვეცმა აღმოაჩინეს, რომ წვას თურმე დიდად უწყობს ხელს ხმაური. ცდის დროს ნავთის ორ დიდ ღუმელთან ხმაურის გამომწვევი გენერატორები დადგეს, ფაქტიურად ეს სხვა არა იყო რა, თუ არა ორთქმავლის ჩვეულებრივი საყვირი. აკუსტიკურმა



ენერგიამ, ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ხმაურმა უზრუნველჰყო ისეთი ინტენსიური წვა, რომ საკვამურიდან ამოფრქვეულ გაზებში ჭვარტლის ნატამალიც ველარ იპოვეს.

### ოპერაცია უსისხლოდ

ქირურგის გამოცდილმა ხელმა გაჭრა ცოცხალი ქსოვილი. ახლა ჭრილობაში სისხლი უნდა ჩაღგეს— რადგან უამრავი სისხლისძარღვია გადაჭრილი. მაგრამ აი, საკვირველება! სისხლი არა ჩანს. რაშია საქმე?

საიდუმლო თვით სკალპელშია, იგი რაღაც არაჩვეულებრივია, გაპრიალებული ზედაპირი დაფარულია თეთრი, გაყინული თრთვილით, სახელურს კი რომელიღაც აპარატიდან რეზინის მილი უერთდება. ამ დროს ორლესულის პირთან თერ-

### $t^\circ = -200^\circ$



მომეტრი რომ მივიტანოთ ტემპერატურა მინუს 200 გრადუსი იქნება.

გაყინული სკალპელით ოპერაციის დროს ქირურგს აღარ სჭირდება სისხლის ამოშრობა და, რაც მთავარია, აღარ არის საჭირო ტკივილის გაყუჩება, თან ჭრილობაში ინფექციის შეჭრის საშიშროებაც ისპობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტყის მუსიკოსი

სახალინის ჩრდილო-აღმოსავლეთით არის ტბა, რომელსაც მონადირეები „კრუგლოეს“ ეძახიან. მიყვარდა ზაფხულობით მის ნაპირას სურნელოვან ბუჩქნარებში დასვენება. სიჩუმეს აქ მარტოოდენ ტყის ქათმების გადაძახილი ან კაკბების ყრუ აშოოხვრა თუ დაარღვევდა. მაგრამ ამ ადგილებში ერთხელ უცნაური მუსიკა მომესმა.

ბგერები ჯერ მაღალ ტონში იწყებოდა, შემდეგ თანდათან დაბალში გადადიოდა, ბოლოს კი ყრუ ზუზუნად იქცეოდა და წყდებოდა. მცირე ხნის შემდეგ კვლავ თავიდან იწყებოდა ყოველივე.

ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო და იდუმალი მუსიკოსის მოსაძებნად გავემართე. რაც უფრო ვუახლოვდებოდი იმ ადგილს, საიდანაც ბგერები მოდიოდა, მით უფრო მკაფიო ხდებოდნენ ისინი. ნაბიჯს მოვუმატე, თან მსუბუქად ვადგამდი ფეხებს ხავსის რბილ ხალიჩაზე, რომ არ დამეფრთხო „შემსრულებელი“. ბოლოს, სულ ახლოს მივედი, გადავწიე ასკილის ტოტი, ფრთხილად გადავიხედე და... ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ბუჩქიდან ოცდაათი მეტრის დაშორებით, ღია მინდორზე იჯდა მურა ძუ დათვი, თავისი ორი ბელით.

მეტისმეტად დიდხანს გაგრძელდა ჩემთვის პირველი წამი — დათვი ადგილიდან არ იძვროდა. და უცებ, დაძაბულ სიჩუმეში თითქოს ბომბი გასკდა: ჰაერში კვლავ დაირხა მოზუზუნე ბგერები

მხოლოდ მაშინღა მივხვდი, რომ ტყის ბანჯგვლიანი მეპატრონე რაღაცით იყო გატაცებული და ვერ ამჩნევდა მის მახლობლად ადამიანს. სულშეგუბებულმა დავუწყე თვალთვალი, თუ რით იყო გართული დათვი.

შუა მინდორში მეხით გახლეჩილი, გამხმარი ნაძვი იყო აღმართული.

დათვი დრო და დრო აღმართავდა ხოლმე წინა თათს, ბრჭყალებით გამოსწევდა ღეროს ნახლეჩს და სწრაფად გაუშვებდა. ნახლეჩი ერთ ხანს თრთოდა და გამოსცემდა სწორედ იმ ბგერებს, რომლებმაც იქ მიმიყვანეს.

თუ როგორ აღმოაჩინა დათვმა ეს „მუსიკალური ინსტრუმენტი“, ჩემთვის აქამდე გამოუცნობია. შეიძლება, პირველად უბრალოდ გაეხახუნა ზურგით ამ ნაძვს და, როცა ასე უეცრად ახმოვანდა, თათით ნახლეჩს შეეხო. ან შეიძლება სულ სხვანაირად მოხდა ყველაფერი. არ ვიცი... მაგრამ ერთი გენახათ, რა ნეტარებით უსმენდა დათვი თავის მუსიკას. ძნელი იყო ღიმილის შეკავება. ეს მძლავრი მხეცი, რომელიც თათის ერთი დარტყმით ცხენ-ირემს ხერხემალს უმტვრევს, მთელი თავისი გამომეტყველებით სრულ გულჩვილობას გამოხატავდა. ნახევრადღია პირიდან წითელი წიწაკის მსგავსი ენა გადმოვარდნოდა გვერდზე, ხოლო ბანჯგვლიანი თავი ნელ-ნელა ქანაობდა აქეთ-იქით.

ნახევარ-ნახევარი წლის ბელები მხიარულად ტორავდნენ ერთმანეთს და დედის გარშემო ბურთებივით დაგორავდნენ.

არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიჯდებოდი ბუჩქნარში, ერთ-ერთ ბელს რომ არ წაეცელქა. მან უეცრად „მუსიკალურ“ ნაძვთან მიირბინა და ზედ აცოცება დაიწყო სწორედ იმ დროს, როცა დათვმა ნახლეჩს გამოსწია. სულ მალე, მოცახცახე ბგერების ნაცვლად, პატარა ბელის ყვირილი მოედო იქაურობას. „მუსიკოს“ დათვში მყისვე დედობრივმა ინსტიქტმა გაიღვიძა. იგი სწრაფად წამოხტა ოთხივე თათზე და ისე ღონივრად ეცა ნახლეჩს, რომ იგი ჭახანით მოსწყდა ღეროს და განზე გადავარდა. გათავისუფლებული ბელი კი ტრიალ-ტრიალით ძირს ჩამოვარდა.

საკრავი დაიმტვრა, მაგრამ ბელების დედა, ეტყობოდა, სულაც არ დარდობდა ამაზე: იგი შვილს შავი ფოლაქის მსგავს ცხვირის წვერს ულოკავდა და თან დათვურ ენაზე საალერსო „სიტყვებს“ ბურდღუნებდა. პატარამაც შეწყვიტა კვნესა, აიკეცა ნატკენი ფეხი და ბუჩქებისაკენ წაძუნძულდა.

ვ. პენკოვი

ნახ. გ. ფოცხიშვილისა







## წინამძღოლის ასეთი უნდა!

ჩვენი მანქანა ტყის ვიწრო გზაზე შეჩერდა. მარჯვნივ და მარცხნივ ტროპიკული ტყე იყო აღმართული. უცებ მანქანას გზა გადაუჭრა შიმპანზეების ჯოგმა—ერთიმეორის მიყოლებით გადარბოდნენ გზაზე და ტყეში უჩინარდებოდნენ. მანქანა შევაჩერეთ.

გზის პირას, მანქანიდან რამდენიმე ნაბიჯზე, მამალი შიმპანზე იდგა, ორივე ხელით დონიჯი შემოეყარა, აშკარა უნდობლობით შემოგვცქეროდა და თან თვალს არ აცილებდა თვისტომებს, რომლებიც გზაზე გადარბოდნენ. ხანდახან უცნაურ ხმაზე ჯიჯღინებდა, როგორც ჩანდა, აჩქარებდა ჩამორჩენილებს.

უკანასკნელად გზაზე ახალგაზრდა დედალი მაიმუნი გადმოხტა. შეშინებულს თავი ჩვენსკენ მოებრუნებინა და ისე გარბოდა. შუა გზას რომ მიაღწია, წინამძღოლი ადგილიდან მოწყდა, ორიოდე ნახტომით წამოეწია და, თავის გოლიათური ძალით ნჯღრევა დაუწყო, ხელებს ცხვირწინ უტრიალებდა და თან პირდაპირ სახეში უყვიროდა რაღაცას. წამიც და, დაბნეული მაიმუნი უკან წავიდა.

ცოტაოდენი ხნის შემდეგ იგი კვლავ გზაზე დავინახეთ. დავინახეთ, მაგრამ ახლა იგი მარტო როდი იყო. ზურგზე, სქელ ბეწვში ფეხებითა და ხელებით ჩაფრენოდა პატარა მაიმუნი. როგორც ჩანდა, შიშისაგან მკუადაბნეულ დედას პატარა სადღაც დაეტოვებინა. ერთი-ორი ნახტომი და, ისიც ტყეს შეერია.

წინამძღოლმა ერთი კიდევ მიმოიხედა, რომ დარწმუნდა, ყველა სამშვიდობოს არის გასულიო, ჩვენსკენ გამოიხედა, ხელი დაგვიქნია და „ჰოპ, ჰოპ"-ის ყვირილით ტყეში გაუჩინარდა.

ნახ. თ. ხამხონაძისა

ერთხელ, გამოჩენილ ფრანგ მწერალს ვიქტორ ჰიუგოს სასწრაფო სამუშაო ჰქონდა, თან შინ გაჩერება ეძნელებოდა. საქმისაგან მოწყვეტის საშუალება რომ მოესპო, მწერალმა თმა და წვერი სანახევროდ გაიპარსა, ამით მან აიძულა თავი, მანამდე ყოფილიყო შინ, ვიდრე თმა და წვერი არ გაეზრდებოდა, ამასობაში კი სამუშაოც დაამთავრა.



ერთხელ თომას ედისონს მისი ნიჭის თაყვანისმცემელმა უთხრა:

„თქვენ უდიდეს გამოგონებებს, მხოლოდ და მხოლოდ თქვენს გენიალურ გონებასა და ნიჭს უნდა უმადლოდეთო".

ედისონმა ამაზე უპასუხა:

„კარგ გამოგონებაში ტალანტისა და შთაგონების მხოლოდ ერთი პროცენტია, დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი კი—ოფლის ღვრა და შრომა არის". ამ სიტყვების ჭეშმარიტება თვალნათლივ მტკიცდება თვით ედისონის მაგალითზე. ელექტრონათურის გამოგონებისას, ცდების ჩანაწერებმა 40 000 ფურცელს მიაღწია. ხოლო მოკლედ ჩაწერილი ყოველი სტრიქონის უკან ხომ მრავალი უძილოდ გატარებული ღამე და ათობით ცდები იმალებოდა.



### ვინ უფრო სწრაფად დარბის

ლეოპარდი წამში 35,5 მეტრს; კენგურუ—20 მეტრს; ცხენი—19 მეტრს; კურდღელი 19 მეტრს; სპილო—11 მეტრს; ადამიანი—10 მეტრს; კუ—5 სანტიმეტრს; ლოკოკინა—1 მილიმეტრს.

### დედამიწის გარშემო...

დედამიწის გარშემო მაგელანის მოგზაურობა, რომელიც პირველი იყო ისტორიაში, გაგრძელდა 3 წელსა და 14 დღეს. ინგლისელი ფრენსის დრეიკი იმავე საუკუნეში დედამიწის გარშემოვლას 2 წელი და 9 თვე მოუნდა. ამერიკელმა ქალმა ნელი ბლეიმ მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში დედამიწას 62 დღესა და 6 საათში შემოუარა.

ამჟამად თვითმფრინავები: „ტუ-104" და ტუ 114" დედამიწას გარს 45—56 საათში შემოუვლიან, ხოლო დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი ჩვენი პლანეტის შემოვლას საათნახევარს ანდომებს.

# იუმორი

## დამოკლებული შარვალი

ერთმა კაცმა მაღაზიაში ახალი შარვალი იყიდა. შარვალი გრძელი მოუვიდა. შინ რომ დაბრუნდა, ცოლს აჩვენა და უთხრა: ხვალ შარვლის ჩაცმა მინდა და ცოტა დამიმოკლეო.

ცოლმა უპასუხა: ამ საღამოს მე დრო არა მაქვსო.

მაშინ თავის ქალიშვილს თხოვა დაემოკლებინა შარვალი ექვსი სანტიმეტრით. ქალიშვილმა უთხრა: ხელი მტკივა და დღეს ვერ დაგიმოკლებო.



ადგა კაცი, აიღო მაკრატელი, ნემსი, ძაფი და შარვალი თვითონ დაამოკლა.

ნასადილევს ქალიშვილს ხელი აღარ სტკიოდა, შევიდა მამის ოთახში და დაუკითხავად დაამოკლა შარვალი ექვსი სანტიმეტრით. რამდენიმე ხნის შემდეგ ცოლმაც აიღო შარვალი და დაამოკლა.



შარვალი უკვე მესამეჯერ იყო დამოკლებული.

მეორე დღეს, დილით, საწყალმა კაცმა ჩაიცვა შარვალი, რომელიც მუხლებამდე ძლივს სწვდებოდა.

ფრანგულიდან თარგმნა
**ი. ჩხიკვაძემ**



სკოლიდან დაბრუნებულ ჰანსს ბიძამ ჰკითხა:

— ჰანს, რას აკეთებდი დღეს სკოლაში?

— ზარის დარეკვას ველოდებოდი,—მიუგო ჰანსმა.



— მეილინ, დამისახელე შვიდი გარეული ცხოველი!

მეილინი: სამი ლომი და ოთხი ვეფხვი, მასწავლებელო.

დედა: კურტ! თუ ფილიპინზე ბეჯითად იმეცადინებ, ჩემგან ყოველ ქვირა 10 პფენინგს მიიღებ.

კურტი: ვერა, დედა! ოლონდ ნუ იმეცადინებ, მეზობლები ყოველდღიურად 50 პფენინგს მპირდებიან.

პეტრე სკოლიდან დაბრუნდა და მამამისს ამაყად უთხრა:

— დღეს მარტო მე ვუპასუხე მასწავლებელს!

— მაინც რა გკითხათ მასწავლებელმა?— დაინტერესდა მამა.

— მასწავლებელმა გვკითხა: „ბავშვებო, ფანჯარა რომელმა გატეხეთ?"

გერმანულიდან თარგმნა
**გ. ბახტაძემ**

## ფოკუსები მაგიდაზე

ის ვინც საცირკო წარმოდგენას დასწრებია, ძნელი წარმოსადგენია არ გაოცებულიყო, არ აღფრთოვანებულიყო ათასგვარი ფოკუსებით, რომლებსაც ასე ოსტატურად ასრულებენ: კიო, ჩიტაშვილი და სხვები. ცხადია, ასეთი რთული ოინების გაკეთება დიდ ოსტატობასა და ხანგრძლივ ვარჯიშს მოითხოვს, მაგრამ ზოგიერთი იოლი ფოკუსი შეგიძლიათ, თქვენც გააკეთოთ. აბა, სცადეთ!

### ჭიქები მღერიან



ბროლის რამდენიმე ჭიქა დააწყვეთ მაგიდაზე, თითოეულში წყალი სხვადასხვა დონეზე ჩაასხით. დაიბანეთ ხელები, შემდეგ ოდნავ სველი თითი სწრაფად ატარეთ ჭიქის პირზე... და ჭიქა ამღერდება. თუ თითს ძლიერად დააჭერთ, ხმა უფრო დიდი იქნება, თუ ნაკლებად—პირიქით. რაც მეტი წყალი იქნება ჭიქაში მით უფრო დაბალ ხმას გამოსცემს იგი. კარგად რომ დაოსტატდებით, საოცარი, ორიგინალური მელოდიების მიღებას მოახერხებთ.

### საიდუმლო ქალა



ვინმემ რომ გითხრათ, გრაფინის ვიწრო ყელში მოხარშულ, გაფცქვნილ კვერცხს დაუფშვნელად გავატარებო, ალბათ, არ დაიჯერებთ. სინამდვილეში კი ეს შესაძლებელია.

ცარიელ გრაფინში სწრაფად ჩააგდეთ ანთებული ასანთი და ქაღალდი. შემდეგ სწრაფადვე დაადეთ თავზე გაფცქვნილი, მრგვლად მოხარშული კვერცხი. გრაფინში ალი ჩაქრება, აკვამლდება, კვერცხი კი... კვერცხი შეინძრევა, წაგრძელდება, ყელში ჩაძვრება და მალე გრაფინის ფსკერზე იგორებს.

**ო. გელოვანი**

# მოკლედ ყველაფერზე

## მლაშე მდინარეები

ზაფხულის ცხელი დღეა. ვერცხლისფერ ზოლად მოჩანს მდინარე. მაგრამ რატომაა მისი ნაპირი ასეთი თეთრი, თითქოს თოვლით იყოს დაფარული? აი, მიხვალ ახლოს და ილუზია ქრება. გასინჯავ „თოვლის" გემოს და ხელში მარილი შეგრჩება, ჩვეულებრივი სუფრის მარილი!

იაკუტიის ზოგიერთ მდინარეს მომლაშო გემო დაჰკრავს. მაგალითად, სოლიანკის ერთ ლიტრ წყალზე 21 გრამი მარილი მოდის.

საიდან ჩნდება აქ ამდენი მარილი მდინარეებსა და ნაკადულებში?

მრავალი ათასი წლის წინ იაკუტიის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე უზარმაზარი ზღვა იყო, იგი ხან ნაპირებიდან გადმოდიოდა, ხან კი ისევ თავის ადგილს უბრუნდებოდა, ამის გამო ყოფილ ზღვის ფსკერზე მარილის დიდი ფენები დაილექა. ზოგიერთი მათგანის სისქე 15 მეტრს აღწევს. ამ ფენებში გამდინარე წყალი ხსნის მარილს და მლაშდება.

## „ჭამეთ ჰიპოპოტამები"

„ჭამეთ ჰიპოპოტამები", — ასეთ რჩევას იძლევა ინგლისელი ბიოქიმიკოსი პირი. მისი აზრით, კაცობრიობა მნიშვნელოვნად შეავსებს თავისი საკვების მარაგს, თუ ჰიპოპოტამებს შინაურ ცხოველებად აქცევს. ამასთან ერთად, მეცნიერმა გამოთქვა სურვილი, რომ ადამიანებმა მოაშინაურონ ლამანტინები, რომლებიც კარიბის ზღვასა და ზოგიერთ ტროპიკულ მდინარეში ბინადრობენ.



## 150 000 კილომეტრი ფეხით

ასეთი უზარმაზარი მანძილი გაიარა იტალიის პატარა ქალაქის მკვიდრმა ქალმა ბუჰით დი ასტიმ. მაგრამ მას ფიქრშიაც არ ჰქონია რაიმე სპორტული ინტერესი. ეს ქალი 1918 წლიდან ფოსტალიონად მუშაობდა. ადმინისტრაცია დიდხანს არ თანხმდებოდა მისთვის პენსიის დანიშვნაზე. მაგრამ ბოლოს ველარაფერილა თქვა, როცა სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს ფოსტალიონის მიერ თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გავლილი კილომეტრები.

## თანამედროვე ნივთები არ უყვართ

ლონდონში არსებობს კლუბი, რომლის წევრებიც ძველისძველ სახლებსა და ციხედარბაზებში ცხოვრობენ და თავიანთ საცხოვრებლებში არ შეაქვთ არცერთი ნივთი — 1500 წლის მერე გამოგონებული.



ამას წინათ კლუბიდან ორი წევრი გარიცხეს იმის გამო, რომ მათ ბინებში ტელეფონები დაიდგეს.

## წყალქვეშა „ფარმანები"

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ თევზები თავს იყრიან სინათლის წყაროსთან. ამჟამად შავ და კასპიის ზღვებში მიმდინარეობს დიდი თევზჭერა სწორედ სინათლის საშუალებით. კონუსური ბადის შესასვლელში ჰკიდებენ 1,5 კვტ. სიმძლავრის ელნათურას, რომელსაც წყალქვეშ ანთებენ. უკვე 30-40 წამში იმდენი თევზი გროვდება ბადეში, რომ ნათურის შუქი არც კი ჩანს. ერთ ღამეში მეთევზეთა ბრიგადა 100 ცენტნერამდე თევზს იჭერს. ხოლო, როცა ბადის ნაცვლად თევზშემსრუტებს იყენებენ, დაჭერილი თევზი 130-140 ცენტნერს აღწევს.

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ჯიშის თევზები სხვადასხვა ფერის სინათლეს ეტანებიან.

## ახალი პოლიმერი

საბჭოთა მეცნიერებმა მიიღეს ახალი, შესანიშნავი პოლიმერი. ესაა რთული ქიმიური ნივთიერება, რომლისგანაც ადვილად შეიძლება დამზადდეს რამდენიმე იეტად ძვირფასი წამალი. პირველ წამალს — გემოვინილს — ადამიანის სისხლის თვისებები აქვს და შეუძლია შეცვალოს იგი, როცა საჭიროა ავადმყოფისათვის სისხლის გადასხმა.

მეორე წამალი — გემოდეზი, გემოვინილისაგან მხოლოდ თავისი მოლეკულური წონით განსხვავდება. იგი ავადმყოფს იცავს ხუნაგის, ქუნთრუშის, გაშეშების გამომწვევი ბაცილების მიერ გამოყოფილი შხამებით მოწამვლისაგან.

როცა ექიმი ავადმყოფს პენიცილინის ნემსებს უნიშნავს, დღეში ორჯერ ხდება საჭირო ნემსის გაკეთება, რადგან პენიცილინის მოქმედება ორგანიზმში მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდება. და აი, იმ ნივთიერებისაგან, რომელსაც შეიცავენ გემოვინილი და გემოდეზი, ამზადებენ კიდევ ერთ წამალს — სინპროლს. სინპროლი პენიცილინის მოქმედებას სამიდან ათ დღე-ღამეში ახანგრძლივებს.

## თიხის კონვერტები

ძველი ბაბილონელები, ოთხი ათას წელზე მეტი ხნის წინათ, სველ თიხის ფილებზე წერდნენ, უფრო სწორად, ოთხწახნაგა ჩხირებით ლურსმულ ნიშნებს ამბეჭავდნენ.

მუზეუმში ათასობით ასეთი ფილა ინახება. არის სრულიად მინიატურულებიც, 3—4 სანტიმეტრი სიგრძის და დიდებიც 20 — 30 სანტიმეტრი სიგრძისა. არის აგრეთვე მრგვალი ფილები. ისინი სასკოლო რვეულებია.

თიხის ფილაზე ნაწერი შეიძლება ადვილად წაშლილიყო, ამიტომ, ფილა-დოკუმენტებს, უკეთ შენახვის მიზნით, თიხის თხელი ფენით შემოგლესავდნენ ხოლმე. ასეთ —კონვერტზე მოკლედ წააწერდნენ თუ რა საბუთი იყო მასში, ზოგჯერ კი ბეჭედსაც დაარტყამდნენ.

მაგრამ წერილები? მათაც დებდნენ „კონვერტში?!"

ჩვენამდე ძველ ბაბილონელთა ბევრმა წერილმა მოაღწია, მაგრამ ისინი ყველა „უკონვერტოა". ეს, ალბათ, იმიტომ, რომ წერილების გახსნის დროს „კონვერტები" იმტვრეოდა.

## საპატიოს იმედით

ორმა არგენტინელმა — ლეონარდო ანტიკომ და ენრიკო მაცეიმ, პროფესიით მეხანძრეებმა, ევროპის გარშემო სამოგზაუროდ აირჩიეს ძველი სახანძრო მანქანა, რომელიც ქარხანა რენოს მიერ 1926 წელსაა გამოშვებული. საქმიანი „მოგზაურები" იმედოვნებენ, რომ ქარხანა რენო, რეკლამისათვის მადლობის ნიშნად, მათ თანამედროვე მანქანას აჩუქებს.




ჩვენი მისამართი: თბილისი, პლეხანოვის, 91 ტელ. 5-07-43

„ПИОНЕРИ", На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 07425 ტირ. 34.000. ქაღ. ფორ. რაოდ. $4^1/_{2}$ ფიზ. ფორ. რაოდ. 2. ხელმოწერ. დასაბ. 30/I-63 წ.
სტამბის შეკვ. 2502. გამოც. 60 შეკვ. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის მე-ე კომბინატი.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ფასი 20 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## თავსატეხი

თქვენს წინაშეა ერთმანეთში ჩასმული, სექტორებად დაყოფილი წრეები. საჭიროა სექტორებში ჩასვათ ციფრები 1-დან 25-ის ჩათვლით ისე, რომ არც ერთი ციფრი არ გაიმეოროთ და მოპირდაპირე სექტორებში ჩასმული ციფრთა ჯამი უდრიდეს 100-ს.



## აბა, სცადეთ!

საჭიროა აქ მოცემული ფიგურა დაშალოთ და დაალაგოთ ისე, რომ მისგან მიიღოთ კვადრატი.

თ. რურუა,
აბაშის რ-ნის სოფ. პირველი მაისის საშ. სკოლის VIII კლ. მოსწავლე.

## ლაბირინთი



პატარა გოგო პირველი კარიდან ლაბირინთში შევიდა, ცდილობს ბიჭუნა მეორე კარით გარეთ გამოვიდეს, მაგრამ გზა აებნა და ველარ შეძლო. იქნებ თქვენ დაეხმაროთ და გამოიყვანოთ გოგო გარეთ.

ბ. ქართველიშვილი

## გამოცანები

1

დედის რძესავით ტკბილია
იგი,
საყვარელია ყველასთვის
დიდი.

2

ერთი ქუდია, სუყველას ხურავს,
ხმელეთზე მავალს, თუ წყალში მცურავს.

ალ. ხაჩიშვილი

## ამოცანა

ბებიამ თხილი მიართვა ვაჟას. ბიჭუნამ ერთი ცალი ჩააკნატუნა. დარჩენილი თხილი შუაზე გაჰყო და ახლა ის ნახევარი მიირთვა. გულმა აღარ მოუთმინა და იმ მეორე ნახევარს მოაკლო ერთი ცალი. დარჩენილი კვლავ შუაზე გაჰყო და ახლა ის მიირთვა. რაც დარჩა, იმას ისევ გამოაკლო ერთი ცალი და ახლა ის ჩააკნატუნა. ასე მოიქცა ვაჟა ოთხჯერ და ბოლოს აღარაფერი შერჩა.

ამოცანა გვეკითხება, სულ რამდენი ცალი თხილი ჰქონია ვაჟას?

გ. გველესიანი

## პასუხები

### კროსვორდი

ვერტიკალურად: 1. ტაიგანი; 2. ლონდონი; 3. ამაზონი; 5. იულიუსი; 6. გარგარი; 8. რემარკი; 10. არაბეთი; 13. ელტონი; 14. „აელიტა"; 17. ისლანდია; 18. პო; 20. მელანი; 21. კუ; 22. მისისიპი; 24. ტვინი; 26. რიონი; 29. ყავა; 30. „აიდა".

ჰორიზონტალურად: 3. „აბეზარა"; 4. ორაგული; 7. ზვარე; 9. პარდი; 11. ონეგინი 12. ირმა; 15. ბარი.

### გეოგრაფიული გამოცანა

1. ლისაბონი; 2. ეთიოპია; 3. ნეპალი; 4; იტალია; 5. ნორვეგია; 6. გრენლანდია; 7. რიგა; 8. ალბანეთი; 9. დანია; 10. ისლანდია.

მათ სიტყვების პ ი რ ვ ე ლ ი ასოებით წაიკითხება: ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი.

### შ ა რ ა დ ა

თხილამური.

### ფანქრის ერთი მოსმით

ფიგურა ფანქრის ერთი მოსმით იხაზება ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# იუმორა










ИНДЕКС 76157